პროლეტარიელო ყველა ძვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ГАЗЕТА ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 5 (19746) ოთხშაბათი, 7 იანვარი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ახალი წლის შრომითს ვახტზე

ზრდიან შრომის ნაყოფიერებას

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.) ორჯონიკიძის ავტოსატრანსპორტო საწარმოში უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა ტექნიკური განახლებისა და სოციალური საკითხების მოგვარების მიზნით. კეთილმოეწყო ადმინისტრაციული შენობა და მუშათა სასადილო, დაიდგა ორი თანამედროვე ტიპის ბენზინგასამართი სეტი, სარემონტო ზონაში დამონტაჟდა ჰიდრავლიკური ამწე მექანიზმები როგორც სატვირთო, ისე ავტობუსებისა და მსუბუქი ავტომანქანებისათვის. მწყობრში ჩადგა ორი ელექტროტალი, პროფილაქტორიუმში ამოქმედდა ამწე ურიკა აგრეგატების მოხსნა-მორგების გაადვილებისათვის, რამაც საგრძნობლად შეამცირა ხელის შრომა.

რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვის შედეგად დაიდგა პნევმატიკური წნები, ავტომანქანების წინა და უკანა მორგვების მოსახსნელი და გადამცემი ჯაჭვების გადასაბმელი სამარჯვები, რამაც საწარმოს საკმაო ეკონომიკური ეფექტი მისცა, გამორიცხა ხელის შრომა.

ამ საწარმოში გადაჭარბებით შესრულდა ტვირთზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის შარშანდელი გეგმა, თანაც დაიზოგა 25 ტონაზე მეტი საწვავ-სპპოზი მასალა. გაიზარდა ერთი მუშის ხელფასი. შრომის ნაყოფიერება 1,5 პროცენტით გადიდდა, მოგებამ საწარმოში 102500 მანეთს გადააჭარბა.

მუშაობის კარგ მაგალითს იძლევიან მძღოლები მერთაზ და ჯემალ მაღლაფერიძეები, იური, გუდად და ვახტანგ ბერაძეები, გ. კვინიკაძე, მ. კაციტაძე.

ნოვატორთა მიმდევრები

ტყიბული. (საკ. კორ.). საქართველოში არის ცნობილი ჩვენი ქვეყნის ნოვატორი მეშახტეების ვ. გვოზდევის ბრიგადისა და ა. პოტაპოვის უბნის კოლექტივის სახელი. მათ სოციალისტური შეჯიბრება გაიჩაღეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, პრაქტიკული საქმეებით უპასუხეს საბჭოთა კავშირის მშრომელებისადმი „XXII ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას — „მეთორმეტე ხუთწლედს — საბჭოთა ხალხის შთაგონებული შემოქმედებითი შრომა“.

სხვადასხვა განთქმულ მეშახტეებს ქვანახშირის ქალაქში — ტყიბულშიც ჰყავთ მიმდევრები. ლენინის სახელობის შახტის „კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრი, ქვანახშირის მონგრევის უბადლო ოსტატი რ. ბოკორიშვილი უძღვება, წარმატებით დაიწყო მეთორმეტე ხუთწლედის მეორე წელი. 1987 წლის პირველ დღეებში მან და ამ ბრიგადის წევრთა დიდმა უმრავლესობამ მოინგრიეს რამდენიმე ზეგეგმითი ტონა ქვანახშირი. ბრიგადის მტკიცე გადაწყვეტილებაა ქვანახშირის ამოღების ხუთწლედის ორი წლის დავალება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისათვის შეასრულოს.

რ. ბოკორიშვილის ბრიგადას მხარდამხარ მიჰყვებიან მეზობელი, ორჯონიკიძის სახელობის შახტის ის კომუნისტური შრომის ბრიგადები, რომლებსაც ლ. გაბელაშვილი და ვ. ვახტანგაძე ხელმძღვანელობენ.

ჟოჩაღოგან ფერმის მუშაკები

თეთრი წყაროს რაიონის ფერმის მუშაკებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება გამოზამთრების პირიოდში პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდებისათვის.

ამ მხრივ სანიმუშოდ იჯერებიან ორბეთის საბჭოთა მეურნეობის მშრომელები. აქაურმა საკვებმომპოვებლებმა დაამზადეს 22 ცენტნერი საკვები ერთეულ ერთ სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვზე გეგმით გათვალისწინებული 16 ცენტნერი საკვები ერთეულის ნაცვლად.

წარმატებები აქვთ სხვა საზოგადოებრივ მეურნეობებსაც. ახალი წლიდან რაიონის ფერმებში შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით თითოეული ძროხის ნაწველი 138 კილოგრამით გაიზარდა.

ხელფასის სისტემის გარდაქმნა

ხუთწლედის პირველი წელი ურიგო შედეგებით როდი დაამთავრა რესპუბლიკის აგრომრეწვამ. მისი მუშაობის ძირითადი მაჩვენებლები მოწმობს, რომ მეურნეობრიობის ახალ პირობებში უფრო აქტიურად, ინიციატივიანად ირჯებიან მიწათმოქმედები და მეცხოველეები, რომლებმაც გადაამტვირთეს შეასრულეს მარცვლეულის, ჩაის ფოთლის, ბოსტნეულის, ხილის, ციტრუსის, კარტოფილის, შაქრის ჭარხლის, თამბაქოსა და ფერმის პროდუქციის დამზადების გეგმები. ახლა კი, როცა განვლილი წლის ამ შედეგებს აჯამებენ და აანალიზებენ, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა შრომითს კოლექტივში უმთავრეს ყურადღებას მიაპყრობენ მთავარ პრობლემებს, რომელთა გადაჭრა განსაზღვრავს ეკონომიკაში ახალი თვისებრივი მიჯნების მიღწევას, იმას, რომ აგრომრეწვის მუშაკებმა მნიშვნელოვანი შრომითი მოღწევებით აღნიშნონ დიდი ოქტომბრის 70 წლისთავი.

ხუთწლედის მეორე, გადამწყვეტი წელი ბევრი დიდმნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნება ჩვენი ქვეყნის, რესპუბლიკის ბიოგრაფიაში. ამოქმედდება თვითდაფინანსებისა და სრული სამეურნეო ანგარიშის ბერკეტები მთელ რიგ დარგებში, მრავალ საწარმოსა და გაერთიანებაში. წარმოების სფეროში პრაქტიკულად გამოიყენებენ ხელფასის სისტემის სრულყოფის თაობაზე პარტიისა და მთავრობის დადგენილებას — გასამრჯელოს მომატება პირდაპირ იქნება დამოკიდებული შრომითი კოლექტივების საქმიანობის გაუმჯობესებაზე და განსორციელდება მათ მიერ გამომუშავებული სახსრებით. არსებითად გარდაქმნება მრეწველობის, კაჟირგამშულობის, სოფლის მეურნეობის მუშაკთა ხელფასის სისტემა. თუ ადრე განაკვეთებისა და ხელფასის გადიდება ხდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე, ახლა კი ამისათვის საჭირო სახსრები თვით შრომითმა კოლექტივებმა უკეთესი გარჯის, ნორმების გადასინჯვის და ხელფასის სტრუქტურის სრულყოფის გზით უნდა გამოიმუშაონ.

ამ პრინციპებით მეურნეობის გაძღოლა დროის მოთხოვნაა, რადგან ნარსულის გამოცდილებამ ცხადყო, რომ თვითანაზღაურების, მატერიალური დაინტერესებისა და პასუხისმგებლობის უგულებელყოფამ გააუარესა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკა. რესპუბლიკის მეურნეობათა ნახევარზე მეტი დაბალრენტაბელური ან წაგებიანია.

ეს გარემოება და, კერძოდ, ის, რომ გახშირდა ანაზღაურებაში გათანაბრება, წამატებები და გამომუშავებული თანხის გადახდა, უარყოფითად მოქმედებს წარმოებაზე, ხალხის განწყობილებაზე, რადგან ილანგება კეთილსინდისიერი მუშაკის ინტერესები, ირღვევა სოციალური სამართლიანობა.

სწორედ ამ პრინციპების დარღვევამ გამოიწვია, რომ მრავალ მეურნეობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპს მნიშვნელოვნად გაუსწრო ანაზღაურების ზრდის ტემპმა და ამ მხრივ ჩვენი რესპუბლიკა საკავშირო დონეს ჩამორჩება.

ეს იმის შედეგიც არის, რომ ჯერ კიდევ ბევრ საწარმოში დიდია მძიმე ფიზიკური შრომის ხვედრითი წილი, ცუდად არის ორგანიზებული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და ამასთან ერთად ადმინისტრაცია მუშახელს ჯეროვან სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობებს ვერ უქმნის.

მეურნეობრიობის ამგვარ პირობებში, რა თქმა უნდა, შეუძლებელია დიდნაყოფიერი მუშაობა. სწორედ ამიტომაც ხელფასის სისტემის გარდაქმნა მოითხოვს, რომ ყველა საწარმომ თავისი კონკრეტული პირობების შესაბამისად შეიმუშაოს წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფის, საამქროების, უბნების და განყოფილებების გამსხვილების, ბრიგადული სამეურნეო ანგარიშის და კოლექტიური იჯარის დანერგვის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გაუმჯობესების ზუსტი პროგრამა. ამ პროგრამის განხორციელებას შეძლებენ მხოლოდ იქ, სადაც საუკეთესოთა მიბაძვით სრული უკუგებით შრომობენ. ხელფასიც ხომ უმეტესწილად გაუდიდდებათ მაღალკვალიფიციურ მუშებს, ინჟინრებს და სხვა სპეციალისტებს, განსაკუთრებით მათ, ვინც ქმნის, წერგავს და ეფექტიანად იყენებს თანამედროვე დიდმწარმოებლურ ტექნიკას და ტექნოლოგიას. ამ მიზნით უფრო მოქნილი ხდება სატარიფო სისტემა. სხვადასხვა მუშის პროფესიისათვის წესდება დამატებითი თანრიგები, შემოიღება ახალი თანამდებობები და კატეგორიები სპეციალისტებისათვის, იზრდება თანამდებობის მინიმალურ და მაქსიმალურ განაკვეთებს შორის განსხვავება. საწარმოთა ხელმძღვანელებს უფლება ეძლევათ მუშაობაში დიდი მიღწევის ან ფრიად მნიშვნელოვანი საქმის შესრულებისათვის სპეციალისტებს დაუწესონ დანამატი განაკვეთის 50 პროცენტამდე.

ერთი სიტყვით, ხელფასის რეფორმა მიზნად ისახავს წაახალისოს ახალი ტექნიკის დანერგვა, ნაკლები პერსონალით მუშაობა, ხარისხი, ყველაფერი ის, რაც ყველაზე მეტად უპასუხებს ინტენსიფიკაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მოთხოვნებს. ამ საქმეში მნიშვნელოვნად ფართოვდება საწარმოთა შესაძლებლობები. ამიტომ ყველა კოლექტივში მუშებმა, სპეციალისტებმა, ხელმძღვანელებმა ვულდასმით უნდა შეისწავლონ შრომის ანაზღაურების ახალი სისტემის არსი და მისი უპირატესობა, თითოეულს უნდა ესმოდეს, რომ ახალი გადიდებული განაკვეთების და სარგოების შემოღებისათვის სახსრები თვითონვე უნდა გამოიმუშაოს და ეს შესაძლებელია ყველა შინაგანი რეზერვის ამოქმედებით.

რეზერვები კი ყოველ სამუშაო ადგილას გვაქვს, განსაკუთრებით ზარალიან შეურნეობებში. თუ ღრმად ჩავიხედავთ თანხის გადახდა, უარყოფითად მოქმედებს წარმოებაზე, ხალხის განწყობილებაზე, რადგან ილანგება კეთილსინდისიერი მუშაკის ინტერესები, ირღვევა სოციალური სამართლიანობა.

ეს იმის შედეგიც არის, რომ ჯერ კიდევ ბევრ საწარმოში დიდია მძიმე ფიზიკური შრომის ხვედრითი წილი, ცუდად არის ორგანიზებული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და ამასთან ერთად ადმინისტრაცია მუშახელს ჯეროვან სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობებს ვერ უქმნის.

მეურნეობრიობის ამგვარ პირობებში, რა თქმა უნდა, შეუძლებელია დიდნაყოფიერი მუშაობა. სწორედ ამიტომაც ხელფასის სისტემის გარდაქმნა მოითხოვს, რომ ყველა საწარმომ თავისი კონკრეტული პირობების შესაბამისად შეიმუშაოს წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის, ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფის, საამქროების, უბნების და განყოფილებების გამსხვილების, ბრიგადული სამეურნეო ანგარიშის და კოლექტიური იჯარის დანერგვის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გაუმჯობესების ზუსტი პროგრამა. ამ პროგრამის განხორციელებას შეძლებენ მხოლოდ იქ, სადაც საუკეთესოთა მიბაძვით სრული უკუგებით შრომობენ. ხელფასიც ხომ უმეტესწილად გაუდიდდებათ მაღალკვალიფიციურ მუშებს, ინჟინრებს და სხვა სპეციალისტებს, განსაკუთრებით მათ, ვინც ქმნის, წერგავს და ეფექტიანად იყენებს თანამედროვე დიდმწარმოებლურ ტექნიკას და ტექნოლოგიას. ამ მიზნით უფრო მოქნილი ხდება სატარიფო სისტემა. სხვადასხვა მუშის პროფესიისათვის წესდება დამატებითი თანრიგები, შემოიღება ახალი თანამდებობები და კატეგორიები სპეციალისტებისათვის, იზრდება თანამდებობის მინიმალურ და მაქსიმალურ განაკვეთებს შორის განსხვავება. საწარმოთა ხელმძღვანელებს უფლება ეძლევათ მუშაობაში დიდი მიღწევის ან ფრიად მნიშვნელოვანი საქმის შესრულებისათვის სპეციალისტებს დაუწესონ დანამატი განაკვეთის 50 პროცენტამდე.

ერთი სიტყვით, ხელფასის რეფორმა მიზნად ისახავს წაახალისოს ახალი ტექნიკის დანერგვა, ნაკლები პერსონალით მუშაობა, ხარისხი, ყველაფერი ის, რაც ყველაზე მეტად უპასუხებს ინტენსიფიკაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების მოთხოვნებს. ამ საქმეში მნიშვნელოვნად ფართოვდება საწარმოთა შესაძლებლობები. ამიტომ ყველა კოლექტივში მუშებმა, სპეციალისტებმა, ხელმძღვანელებმა გულდასმით უნდა შეისწავლონ შრომის ანაზღაურების ახალი სისტემის არსი და მისი უპირატესობა, თითოეულს უნდა ესმოდეს, რომ ახალი გადიდებული განაკვეთების და სარგოების შემოღებისათვის სახსრები თვითონვე უნდა გამოიმუშაოს და ეს შესაძლებელია ყველა შინაგანი რეზერვის ამოქმედებით.

რეზერვები კი ყოველ სამუშაო ადგილას გვაქვს, განსაკუთრებით ზარალიან შეურნეობებში. თუ ღრმად ჩავიხედავთ ამ საქმეში, დავინახავთ, რომ წარმატებლობის მიზეზები უმთავრესად არის შრომის ნაყოფიერების დაბალი დონე, მისი არცთუ ჯეროვანი ორგანიზაცია, არაეფექტიანი სტიმულირება, დისციპლინისა და მომთხოვნელობის შესუსტება.

ამ რეზერვების ამოქმედება — შრომის ნაყოფიერების მტკიცე ზრდა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება დღეს ასლეური მუშაობის უმნიშვნელოვანესი ნიშანია.

დიდი რეზერვებია შრომითი რესურსების გამოყენებაშიც. ამის დასტურია ბელორუსიის რკინიგზელთა და ლენინგრადის ოლქის მეურნეობა „პეტროვსკის“ მეცხოველეთა გამოცდილება, რომელსაც ამას წინათ მკითხველი „კომუნისტის“ ფურცლებზე გავცნო. საქმე ის არის, რომ ბელორუსმა რკინიგზელებმა და პეტროვსკელმა მეცხოველეებმა, როგორც კი სერიოზულად მოკიდეს ხელი შრომის ორგანიზაციისა და ნახალისების გაუმჯობესებას, დაკისრებული საქმისათვის პირადი პასუხისმგებლობის გადიდებას, უამრავი რეზერვი გამოავლინეს და აამოქმედეს. ამის წყალობით შრომის ნაყოფიერებამ ერთიორად მოიმატა.

ამ საყურადღებო გამოცდილების გადმოღება ყველა შრომითი კოლექტივისათვის სასარგებლო იქნება, განსაკუთრებით კი იმათთვის, ვინც შუახლის დეფიციტს უჩივის. მით უმეტეს, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველზე ხელფასის გადიდებასა და სრულყოფას ბევრ შემთხვევაში ზედმეტი რგოლების ლიკვიდაცია, აპარატის რიცხობრივი შემცირება, მუშაკთა ერთი ნაწილის გამოთავისუფლება მოჰყვება.

პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ვალია გამოთავისუფლებული ადამიანების შრომითი მოწყობა განახორციელონ გეგმიანად, ხოლო იქ, სადაც ეს საჭირო იქნება, კადრები ხელახლა უნდა მოამზადონ ხელფასის შენარჩუნებით, დადგენილი წესის შესაბამისად. ისინი, უწინარესად, გამოყენებული უნდა იყვნენ მოქმედ საწარმოში მეორე და შესაძე ცვლების ორგანიზაციისათვის, წარმოების რეკონსტრუქციასა და გაფართოებაზე, აგრეთვე კადრებით ახალ საწარმოთა დაკომპლექტებისათვის.

შრომის ანაზღაურების სრულყოფა, საწარმოო დარგების მუშაკებისათვის განაკვეთებისა და ხელფასის გადიდება ქვეყანაში მიმდინარე სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებაა. იგი შეეხება 75 მილიონ მუშასა და მოსამსახურეს და ბუნებრივია, კეთილ გავლენას მოახდენს ადამიანების შემოქმედებითს ზრდასა და პროფესიული ოსტატობის ამაღლებაზე, ხელს შეუწყობს იმ პრინციპის დამკვიდრებას, რომ ვისაც კარგი ანაზღაურება სურს, მან უსათუოდ უნდა მოუმატოს მუშაობას — დაზოგოს სამუშაო დრო, მატერიალური რესურსები. ეს კი ნიშნავს, რომ იგი ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პროცესის აქტიური მონაწილე იქნება.

პასუხსაგები პერიოდი სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა ცხოვრებაში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილეს სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა 1986 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების შეჯამებისა და რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და სამეურნეობათაშორისო საწარმოებში საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებების, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებში საერთო კრებების მოწყობის საკითხი.

მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა და საზოგადოებრივ-სამეურნეო ორგანოებმა, კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებმა მეთორმეტე ხუთწლედის პირველ წელს მნიშვნელოვანი მუშაობა გაწიეს პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ქვეყნის სასურსათო პროგრამის რეალიზაციისათვის. მრავალი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა დიდ შედეგებს აღწევს თავის საქმიანობაში, წარმატებით ახორციელებს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საგეგმო დავალებებს.

ამავე დროს ზოგიერთ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობებსა, სამეურნეობათაშორისო საწარმოში (ორგანიზაციაში) სრულად ვერ იყენებენ არსებულ საწარმოო-ეკონომიკურ პოტენციალს, ნელი ტემპით სძლევენ ჩამორჩენას, ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ინტენსიური ტექნოლოგიების, სამეურნეო ანგარიშის, კოლექტიური იჯარის დანერგვას, რაც საბოლოოდ ანგარიშით აფერხებს თვითანაზღაურებასა და თვითდაფინანსებაზე მეურნეობათა გადასვლას. ყოველივე ეს შედეგია იმისა, რომ სასოფლო-სამეურნეო საწარმოები უხეიროდ იყენებენ ეკონომიკურ ბერკეტებსა და სტიმულებს, ჯეროვნად არ სარგებლობენ მინიჭებული ფართო უფლებებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალეს საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ რესპუბლიკების სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აგროსამრეწველო კომიტეტს, რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებებს ყოველმხრივ დაეხმარონ კოლმეურნეობებს, სამეურნეობათაშორისო საწარმოებს (ორგანიზაციებს) და საბჭოთა მეურნეობებს კოლმეურნეობებსა და სამეურნეობათაშორისო საწარმოებში (ორგანიზაციებში) საანგარიშო და საანგარიშო-საარჩევნო კრებების, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებში საერთო კრებების მომზადებასა და მაღალ ორგანიზაციულ დონეზე მოწყობაში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აგროსამრეწველო კომიტეტმა, რაიონულმა აგროსამრეწველო გაერთიანებებმა, კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, სამეურნეობათშორისო საწარმოებმა და ორგანიზაციებმა საანგარიშო, საანგარიშო-საარჩევნო და საერთო კრებების მომზადებისათვის ყველა მეურნეობაში უნდა მოაწყონ მათი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ყოველმხრივი შემოწმება; უბრუნველყონ, რომ დადგენილ ვადებში და ხარისხიანად აღგენდნენ წლიურ ანგარიშებსა და საწარმო-საფინანსო გეგმებს. მოამზადონ კოლმეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების) გამგეობათა, მათი სარევიზიო კომისიების, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობების დირექციების შინაარსიანი საანგარიშო მოხსენებანი.

კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სამეურნეობათაშორისო საწარმოებში (ორგანიზაციებში) უნდა გაგზავნონ გამოცდილი სპეციალისტები, რათა დახმარება გაუწიონ მათ დროულად განახორციელონ ქონების ინვენტარიზაცია, აღმოფხვრან დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, შეადგინონ წლიური ანგარიშები.

1987 წლის 1 თებერვლამდე უნდა დამთავრდეს კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების) საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების წლიური, ანგარიშების შედგენა, 10 თებერვლამდე კი განიხილონ ისინი საანგარიშო, საანგარიშო-საარჩევნო და საერთო კრებებზე.

საანგარიშო, საანგარიშო-საარჩევნო და საერთო კრებების მომზადებასა და მოწყობაში დახმარების გაწევის მიზნით კოლეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამეურნეობათშორისო საწარმოებში (ორგანიზაციებში) უნდა მოაწყონ საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების, საბჭოთა მეურნეობების, სამეურნეობათშორისო საწარმოების (ორგანიზაციების) ყველა მეურნეობაში უნდა მოაწყონ მათი საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ყოველმხრივი შემოწმება; უბრუნველყონ, რომ დადგენილ ვადებში და ხარისხიანად აღგენდნენ წლიურ ანგარიშებსა და საწარმო-საფინანსო გეგმებს. მოამზადონ კოლმეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების) გამგეობათა, მათი სარევიზიო კომისიების, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობების დირექციების შინაარსიანი საანგარიშო მოხსენებანი.

1987 წლის 15 თებერვლამდე დაამთავრონ რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების საბჭოების სხდომებზე წლიური ანგარიშების განხილვა და წარუდგინონ ისინი საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს;

1987 წლის 25 თებერვლამდე წარადგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტში საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სამეურნეობათაშორისო საწარმოების (ორგანიზაციების) კრებსითი საბუღალტრო ანგარიშები, მუშათა მოსამსახურეთა საერთო კრებების ანგარიშები, აგრეთვე ამ კრებებზე გამოთქმული წინადადებები და კრიტიკული შენიშვნები შემდგომი რეაგირებისათვის.

პირველადი პარტიული ორგანიზაციები შოვალენი არიან წინასწარ განიხილონ მეურნეობათა 1986 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგები, შეიმუშაონ და განახორციელონ საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი განვითარებისა და არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებანი, უზრუნველყონ კომუნისტების აქტიური მონაწილეობა მეურნეობათა მუშაობის შედეგების შეჯამებასა და განხილვაში.

რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებს დაევალთ ფართოდ გაამქონონ რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების, ბრძოლა ეკონომიკურ ბერკეტებსა და სტიმულებს, ჯეროვნად არ სარგებლობენ მინიჭებული ფართო უფლებებით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტი, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აგროსამრეწველო კომიტეტი, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებები, ინფორმაციებს, ანგარიშებს, ნეგატიური მოვლენების დაძლევის პრობლემები ყოველდღიური გაზეთებისა და ტელერადიო გადაცემებისათვის. დღეს რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ყურადღების ცენტრშია პროდუქციის ჩინებული ხარისხისათვის ბრძოლის საკითხები.

რესპუბლიკაში დიდი, მოუკერძოებელი, მწვავე, გულწრფელი. პრინციპული და კონკრეტული ბრძოლაა გაჩაღებული საბჭოური პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხის კარდინალური ამაღლების გზების შესახებ, იმის თაობაზე, რომ 1987 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა სახმიღება — წუნის გზაზე აღმართული შლაგბაუმი და ხარისხის გაუმჯობესების ბერკეტი. ამ პრობლემას კი უდიდესი სახელმწიფოებრივი და სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი, ასე თუ ისე, მეტად თუ ნაკლებად, ყოველ ჩვენგანს ეხება. და აი რატომ.

წლების განმავლობაში, არ ესმოდათ რა, რომ მდარე ხარისხის პროდუქცია არაკეთილსინდისიერი შრომის, ეროვნული დოვლათისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგი და ვაჭვნებელია, ბევრი შრომითი კოლექტივი და მუშაკი, რომლებიც უშუალოდ აგებდნენ პასუხს პროდუქციის რაოდენობისა და ხარისხისათვის, განსაკუთრებით ისინი, ვინც სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების სფეროში იყო დასაქმებული, პროდუქციის ხარისხზე მარტოოდენ ლაყბობდა, პრაქტიკულად კი ამ საქმისათვის სხვა სფეროებში დაისახა. და ამიტომ ბუნებრივია, რომ გარდაქმნის, დაჩქარების, ხარისხისათვის ბრძოლის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ნეგატიური მოვლენების დაძლევის პრობლემები ყოველდღიური გახდა გაზეთებისა და ტელერადიო გადაცემებისათვის. დღეს რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ყურადღების ცენტრშია პროდუქციის ჩინებული ხარისხისათვის ბრძოლის საკითხები.

რესპუბლიკაში დიდი, მოუკერძოებელი, მწვავე, გულწრფელი. პრინციპული და კონკრეტული ბრძოლაა გაჩაღებული საბჭოური პროდუქციის ტექნიკური დონისა და ხარისხის კარდინალური ამაღლების გზების შესახებ, იმის თაობაზე, რომ 1987 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა სახმიღება — წუნის გზაზე აღმართული შლაგბაუმი და ხარისხის გაუმჯობესების ბერკეტი. ამ პრობლემას კი უდიდესი სახელმწიფოებრივი და სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი, ასე თუ ისე, მეტად თუ ნაკლებად, ყოველ ჩვენგანს ეხება. და აი რატომ.

წლების განმავლობაში, არ ესმოდათ რა, რომ მდარე ხარისხის პროდუქცია არაკეთილსინდისიერი შრომის, ეროვნული დოვლათისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგი და ვაჭვნებელია, ბევრი შრომითი კოლექტივი და მუშაკი, რომლებიც უშუალოდ აგებდნენ პასუხს პროდუქციის რაოდენობისა და ხარისხისათვის, განსაკუთრებით ისინი, ვინც სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების სფეროში იყო დასაქმებული, პროდუქციის ხარისხზე მარტოოდენ ლაყბობდა, პრაქტიკულად კი ამ საქმისათვის სერიოზულად არასოდეს ეოუკიდია ხელი. ამის გამო მთელი ამ წლების მანძილზე ხარისხი ჩვენთვის ყველაზე სუსტ ადგილად — თვისებურ „აქილევსის ქუსლად“ გადაიქცა. „ბადაღებული „მთლიანი პროდუქცია“—რაოდენობას გამოდევნება — აი, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ ყოველ მეორე ფერადი ტელევიზორი, ყოველი მესამე მაგნიტოლა, ყოველი მეოთხე მაგნიტოფონი და ყოველი მეექვსე იტრომატური სარეცხი მანქანა, რომლებსაც ჩვენი ქვეყნის საწარმოები ამზადებდნენ, შემოწმებისას მდარე ხარისხისა აღმოჩნდებოდა ხოლმე. ეს — ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მასალების მიხედვით. მაგრამ აი კიდევ ერთი რიგი მონაცემებისა.

ერთ-ერთი ცენტრალური გაზეთის რედაქციამ თავისი 10 ათასზე მეტი მკითხველი გამოკითხა და ამ გზით დაადგინა: საოჯახო ტელერადიოტექნიკის, ელექტროხელსაწყობისა და ფოტოკინოსაქონლის გაფუჭების 100 შემთხვევიდან 50 შემთხვევა ყიდვის დღეზე მოდის, 100-დან 20 შემთხვევა — ყიდვიდან ერთი კვირის მანძილზე. აქედან მწარე დასკვნა: სამომხმარებლო საქონლის 76 პროცენტი, რომელსაც მრეწველობა ამზადებს და შესაბამის საწარმოთა ტექნიკური კონტროლის განყოფილებანი იღებენ, მეტ-ნაკლებად შეძენიდან შვიდი დღის მანძილზე გაფუჭდა! ასეთი შეფარდება სწორია, მაგალითად, ტელევიზორების მიმართ — მინსკის „ელექტრონისა“ და „ჰორიზონტის“, ვორონეჟის „რეკორდის“, სიმფეროპოლის „ფოტონის“, თბილისის „ივერიისა“ და სხვათა მიმართ.

ასეთ ფაქტებსა და სტატისტიკურ მონაცემებს რომ ჩაუფიქრდები, გიკვირს, როგორ შეიძლებოდა, რომ წლების განმავლობაში ასეთ „პროდუქციას“ უშვებდა ზოგიერთი **შრომითი კოლექტივი?** როგორ ეუყურებდნენ გულგრილად ასეთ უწესრიგობას მუშები, ოსტატები, საამქროთა უფროსები, ტექნიკური კონტროლის განყოფილებათა მუშაკები, ფაბრიკა-ქარხნების დირექტორები, რომლებისთვისაც წუნი ნორმად, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა? ნუთუ ვერ მიხვდნენ, რომ ეს **სამარცხვინო, ამორალური** პრაქტიკაა? ჰოდა, რაღა გასაკვირია, რომ ასეთი „მუშაობის“ შედეგად კიდევ უფრო აღმაშფოთებელ და ყოველად წარმოუდგენელ ფაქტებს გადააწყდებოდით. აი, თუნდაც, ერთი მაგალითი.

ამ რამოდენიმე ხნის წინათ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მორიგმა პლენუმმა სხვა საკითხებს შორის ის საქმეც განიხილა, რომ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთმა ფეხსაცმლის ფაბრიკამ გამოუშვა და სავაჭრო ქსელს გაუგზავნა დიდძალი ქალის ჩექმა, რომელსაც ქუსლი უკან კი არა, ცხვირზე ჰქონდა მიჭედებული?!. და ასეთი ანომალური „პროდუქცია“ დაამზადეს ადამიანებმა, რომლებიც თავს მუშებად თ

საბჭოთა ხალხის ნება

საბჭოთა ადამიანებმა გულდაჯერებული წინსვლით, ოპტიმიზმით დაიწყეს ახალი, 1987 წელი, რომელშაც საბჭოთა კავშირის ფართო მასშტაბის სამშვიდობო ინიციატივების ესტაფეტა ჩაიბარა.

15 იანვარს ერთი წელი სრულდება მას შემდეგ, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა გააკეთა განცხადება, რომელშიც ჩამოყალიბებულია 2000 წლამდე ბირთვული არსენალების შემცირებისა და მოსპობის საფუძველზე კაცობრიობის უშიშროების უზრუნველყოფის დეტალური პროგრამა.

ეს არის ეპოქალური დოკუმენტი მტკიცე და საყოველთაო უშიშროებისათვის ბრძოლაში. მსოფლიოს მეცა ახალი პოლიტიკური აზროვნების ნიმუში, უთხრა საკდესის კორესპონდენტს საბჭოთა კავშირის ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარემ კ. ტ. მაზუროვმა. ნიშანდობლივია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოწოდებას, რომელმაც გასული წელი მშვიდობის საერთაშორისო წლად გამოაცხადა, სსრ კავშირი მსოფლიო გაერთიანების ყველა ქვეყანას შორის პირველი გამოეხმაურა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის განცხადება მოწმობს უწინარეს ყოვლისა საბჭოთა ხალხის მისწრაფებას ეწოდეს აღმშენებლობითს შრომას, მშვიდობიანად ცხოვრობდეს პლანეტის ყველა ხალხთან. სამწუხაროდ, უკვე შარშან რეაქციის ძალებმა ხელი შეუშალეს ბირთვული განიარაღების დარგში კონკრეტული მორიგებების მიღწევას. ამის მიზეზია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისა და ადმინისტრაციის პოზიცია რეიკავიკის შემდეგ, რომლებიც ისევ და ისევ ქმნიან დაბრკოლებებს ბირთვული განიარაღების გზაზე.

ბირთვული კატასტროფა დაღუპვით ემუქრება მთელ კაცობრიობას, და მნიშვნელობა არა აქვს, სად აფეთქდება მომაკვდინებელი მუხტები. თითქოს ეს ყველასთვის ცხადი უნდა იყოს. მაგრამ ჩვენ კლასობრივ მსოფლიოში ვცხოვრობთ, იმპერიალიზმს ხელი არ აუღია თავის მიზანზე — მოსპოს კომუნიზმი, როგორც იდეოლოგია და სოციალიზმი, როგორც არსებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია. იმპერიალისტურ წრეებში, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებულ შტატებში ბევრი ფანატიკოსია, რომლებსაც შეუძლიათ საკუთარი გადარჩენისათვის ბრძოლაში მოსპონ ასობით მილიონი ადამიანი, კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი კულტურული მემკვიდრეობა.

და მაინც, ჩვენ ოპტიმისტები ვართ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური. პარტიის, საბჭოთა ხალხის გადაწყვეტილება, მთელი ენერგიით იღვაწონ მტკიცე მშვიდობისათვის, კატეგორიობის საომედო უშიშროებისათვის, კვლავ დაადასტურა მ. ს. გორბაჩოვმა ამერიკელი ჟურნალისტის ჯ. კინგსბერი-სმიტის კითხვებზე გაცემულ პასუხში.

მე, ვეკუთვნი საბჭოთა ადამიანების იმ თაობას, აღნიშნა კ. ტ. მაზუროვმა, რომელმაც დაიცვა დიდი ოქტომბრის მონაპოვრები და ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის წლებში, გაუძლო სახლობო მეურნეობის ომისშემდგომი აღდგენის სიმძიმეს, თავდადებული შრომით ჩააყენა სსრ კავშირი ყველაზე განვითარებული ქვეყნების რიგებში.

ვეტერანები ახლაც არ დგანან განზე. შარშან დეკემბრის დამდეგს ვენაში გაიმართა ომის ვეტერანთა მეორე მსოფლიო შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც ყველა კონტინენტის 35 მილიონ კაცს წარმოადგენდნენ. შეხვედრაზე გამართული დისკუსია გამსჭვალული იყო განიარაღების დარგში საბჭოთა ინიციატივების სულისკვეთებით. იდეოლოგიური და პოლიტიკური ხასიათის სერიოზული განსხვავების მიუხედავად, შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს კაცობრიობის ბედისათვის წუხილით გამსჭვალული დოკუმენტები. ისინი ყველა კეთილი ნების ადამიანს მოუწოდებენ მხარი დაუჭირონ ეტაპობრივი ბირთვული განიარაღების გზას.

შეხვედრაზე საკმაოდ ცხადად გაისმოდა პაციფისტური განწყობილებაც, მშვიდობისათვის კი, როგორც ისტორია გვიკარნახებს, უნდა ვიბრძოლოთ. კაპიტალის ქვეყნებში მშვიდობისათვის საზოგადოებრივი მოძრაობა უეჭველია ძალას იკრებს, და ყველა დაბრკოლების მიუხედავად, რომლებსაც მას უქმნიან ეგრეთ წოდებული „დასავლური დემოკრატიის“ პირობებში, ხდება მსოფლიო პოლიტიკის რეალური ფაქტორი, რომელიც ნატოს ქვეყნების მმართველ წრეებს აიძულებს ანგარიში გაუწიონ მას.

ჩვენმა პარტიამ, გამოავლინა რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე ბოლო წლების განმავლობაში პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში დაშვებული დეფორმაციები, XXVII ყრილობაზე გამოაცხადა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების დაჩქარების, საქმიანობის ყველა სფეროში გარდაქმნის კურსი. ომისა და შრომის ვეტერანები მოვლენათა შუაგულში ჩანან. ლენინური ტრადიციებისადმი ერთგულებენ, თქვა ალექსანდრ მაზუროვმა. მათი ცხოვრებისეული გამოცდილება დიდი სიმდიდრეა, რომელიც სურთ საბჭოთა ახალგაზრდობას გადასცენ.

ჩვენი გამოცდილება ადასტურებს — მშვიდობა უზრუნველყოფილი იქნება, თუ წარმატებით განხორციელდა ჩვენი ქვეყნისა და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმები, თუ ჩვენ ყველანი სამშობლოს საკეთილდღეოდ და, მაშასადამე, ჩვენთვისაც ვიშრომებთ, ისე, როგორც ამას მოითხოვს პარტია თითოეულისაგან.



თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოში“ გულმოდგინედ მოემზადნენ პროდუქციის სახელმწიფო მიღებისათვის. აქ თითოეულ სამუშაო უბანზე გაუმჯობესდა საწარმოო და შრომის დისციპლინა, განახლდა ტექნიკა, გაძლიერდა თითოეულის პასუხისმგებლობა პროდუქციის ხარისხისათვის.

სურათზე: თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოს“ პროდუქციის სახელმწიფო მიღების წარმომადგენლები ე. გიორგობიანი, ვ. კოზლენკო და ვ. ბორდიუკოვა ამოწმებენ მზა ნაწარმს.

ს. კილაძის ფოტო.

გადაულახავი დაბრკოლება აღვუმართოთ უხარისხო ნაწარმს!

(დასასრული)

არავის არ გამოადგება და შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ ერთი სიტყვით — წუნი. და წლითიწლობით წუნის გამოშვება მარტო იმის კი არ. იწვევდა, რომ ქარს მიჰქონდა ნედლეული, მასალები, ელექტროენერგია და შრომა, ანუ საბოლოო ანგარიშით ხალხის დოვლათი, არამედ, სამწუხაროდ, ეს წარმოშობდა, ერთი მხრივ, სეპტიკურ, არსებითად ანტიპატრიოტულ დამოკიდებულებას სამამულო პროდუქციისადმი და, მეორე მხრივ, საზღვარგარეთის ქვეყნების საქონლის მეტისმეტად აღტაცებულ შეფასებას. ასე ჩამოყალიბდა ჩვენი ადამიანების შეგნებაში ნაწარმისა და საქონლის — ჩვენისა და არაჩვენის — პრიორიტეტების და პრესტიჟის ცნება...

რა თქმა უნდა, იმ ფაქტს, რომ ჩვენს ქვეყანაში წარმოებული ზოგიერთი პროდუქციი თვისი ხარისხით ჯერ კიდევ ვერ უტოლდება მსოფლიო სტანდარტებს, თავისი, **ობიექტური** მიზეზებიც აქვთ. ეს გახლავთ ყოველგვარი ყავლგასული, მოძველებული მოწყობილობა; ტექნოლოგიის შემუშავებისა და ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენის ხარვეზები; მომიჯნავეთა მიერ ნედლეულისა და მაკომპლექტებელი მასალების დაგვიანებული მიწოდება; აქა-იქ ხელის შრომის დიდი წილი; მუშაობის მცდარი დაგეგმვა და ორგანიზაცია — ავრალი, ურიტმობა, იერიშობანა, რომელიც ბოლო დროს თვისა თუ წლის მიწურულზე მოდის ძირითადი სამუშაოები, რის გამოც შეუძლებელია შრომისა და პროდუქციის კარგი ხარისხის უზრუნველყოფა; ეს გახლავთ ტარა-საფუთავი მასალების ცუდი ხარისხი და მრავალი სხვა რამ. და მაინც, უმთავრესი მიზეზია **სუბიექტური, ადამიანური ფაქტორი** — უპასუხისმგებლობა, ზნეობრივი თვითკმაყოფილების ბერკეტების მოშლა, შრომის კულტურის დაბალი დონე, ელემენტარული უდისციპლინობა...

ამიტომ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბოლოო ანგარიშით ობიექტურ მიზეზებსაც თავისი სუბიექტური წყაროები, ანუ ისევ და ისევ ადამიანის ფაქტორი ასაზრდოებს. მაგალითად, ფერადი ტელევიზორის ახალი ტიპის კინესკოპის დასამზადებლად, რომელიც ლვოვში შექმნეს და საკავშირო საზღვარგარეთულ ნიმუშებს არ ჩამოუვარდება, საჭიროა სამგზავი სპეციალური სალუბავი — ლუმინოფორები: მწვანე, ლურჯი და წითელი. ამ სალებავებს ამზადებენ სტავროპოლის ქიმიკატებიდან, აგრეთვე ტაჯიკეთში, ისფარის ჰიდრომეტალურგიულ ქარხანაში. თანაც სტავროპოლშიცა ლუმინოფორების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც საგანგებოდ ამ პრობლემაზე მუშაობს. და მიუხედავად ამისა, ორივე ზემოხსენებული საწარმო დღემდე ლვოვს, მინსკსა და სხვა ქალაქებს, სადაც ფერადი კინესკოპები მზადდება, ცუდი ხარისხის ლუმინოფორებს აწვდიდა. ამიტომ იძულებული არიან ფერად ტელევიზორებს, როგორც, მაგალითად, თბილისში, მოძველებული კონსტრუქციის კინესკოპები დაუდგან, რომლებზეც საზღვარგარეთ დიდი ხანია უარი თქვეს. ამრიგად, წლითიწლობით სრულდებოდა გეგმები, ტელევიზორის მწარმოებელი კოლექტივები პრემიებს იღებდნენ, მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ კვლავ მოქმედებდა წახალისების სისტემა, რომელიც ხარისხობრივი მაჩვენებლის უგულებელყოფის საშუალებას იძლეოდა. რაც შეეხება ვაჭრობის მუშაკებსა და მათს მუშტრებს, იმის მეტი აღარაფერი დარჩენოდათ, რომ აღშფოთებულიყვნენ უხარისხო ტელევიზორებით, ეწერათ საჩივრები, უამრავი დრო დაეკარგათ მწარმოებლის მიერ გარანტირებული წუნანი ტელევიზორების „საგარანტიო“ თუ „უგარანტიო“ შესაკეთებლად. ამრიგად, ქიმიური მრეწველობის, ფერადი მეტალურგიისა და შავი მეტალურგიის საკავშირო სამინისტროთა მიზეზით, რომელთა საწარმოებიც ფერადი კინესკოპების გამომშვები ქარხნების მომიჯნავეები არიან, ჩვენი ბაზარი გაივსო ცუდი ხარისხის ტელევიზორებით. ცხადია, საქმე ეხება ადამიანებს — საზოგადოების მთავარ მწარმოებელ ძალას, მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური პროგრესის სუბიექტს. **ყველა თავის ადგილას ჯეროვნად რომ ასრულებდეს თავის მოვალეობრივ და სამსახურებრივ ფუნქციებს, ჩვენში დღეს სამამულო პროდუქციის ხარისხის საკითხი არ წამოიჭრებოდა.** ჰოდა, ალბათ, საქართველოს ტელევიზიაც იძულებული აღარ იქნებოდა მოეწყო დიდად გახმაურებული გადაცემები სახელწოდებით „უეკლიონი“ და „ეს აუქციონია“, რომელთა მეშვეობითაც რესპუბლიკის ტელეაუდიტორია გაეცნო საქართველოს სსრ მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის ძირითადად 35 საწარმოს 150 სახეობის დაწუნებულ პროდუქციას, პროდუქციას, რომლის წარმოებითაც ზოგიერთი შრომითი კოლექტივი საგრძნობ მატერიალურ და ზნეობრივ ზიანს აყენებს საზოგადოებას.

ამა წლის 1 იანვრიდან არა მარტო რესპუბლიკის ისეთი საწარმოების კოლექტივებმა, როგორიცაა რუსთავის მეტალურგიული და ქუთაისის საავტომობილო ქარხნები, თბილისის საწარმოო გაერთიანება ჩარხმშენებელი და კამვოლ-მაუდის ფაბრიკა „საბჭოთა საქართველო“ და კიდევ 18 სხვა საწარმო, რომლებშიც ახალი წლიდან არასაუწყვნი კონტროლი — სახმიღება ამოქმედდა, არამედ სხვა საწარმოთა კოლექტივებმაც. სადაც პროდუქციის ხარისხს, ისევე როგორც წინათ, ტექნიკური კონტროლის განყოფილებათა სამსახურები შეაფასებენ, ყველაფერი უნდა იღონონ იმისათვის, რომ ყოველგვარი არხები სამუდამოდ ჩაუკეტონ უხარისხო პროდუქციას, ბოლო მოუღონ წუნს, ყოველად მოუბზარებელი სამომხმარებლო საქონლის დამზადებას, რომლის „მწარმოებლები“ არიან თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკა, საბავშვო ტრიკოტაჟის, სათამაშოების, ფეხსაცმლის „ისნისა“ და სამოდელო ფაბრიკები, კლავიშიანი მუსიკალური საკრავების, საინსტრუმენტო, პირველი და მესამე მექანიკური ქარხნები, ზუგდიდის ფაიფურის ქარხანა და ზოგიერთი სხვა საწარმო. საერთოდ უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკას ყველაზე მეტ ზარალს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოები აყენებენ. შარშანდელი წლის 9 თვეში მათ ხარისხი დაუქვეითეს დაახლოებით 300 ათას მეტრ ბამბეულს, 37 ათას მეტრ შალს, 350 ათას მეტრზე მეტ ბრეზენტს ქსოვილს, 540 ათასზე მეტ სამკერვალო და 620 ათასზე მეტ ტრიკოტაჟის ნაწარმს, 117 ათას წინდას, 390 ათას წყვილ ფეხსაცმელს. აი, ასე „ასრულებენ“ აქ 1986-2000 წლებში ნახლხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურების სფეროს განვითარების რესპუბლიკური კომპლექსური პროგრამის თავიანთ ნაწილს...

პროდუქციის ხარისხის ძირეული გაუჯობესების მიზნით, წარმოების გარდაქმნა იოლი საქმე არ არის: აქ ხომ საჭიროა ყველანი საფუძვლიანად გარდავიქმნათ და შეგვცვალოთ საქმისადმი ჩვენი დამოკიდებულება. აი, რატომ არის შეუწყნარებელი, რომ ზოგიერთი კოლექტივი მეტისმეტად აყოვნებს გარდაქმნას, როგორც ეს ხდებოდა, მაგალითად, თბილისის „ჩარხმშენებლის“ და „ბატრიონის“ გაერთიანებებში, თბილისის კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობისა და ცხინვალის „ელექტროვიბრომანქანის“ ქარხნებში, ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში. მაგალითად, ექსპერიმენტულმა სახმიღებამ, რომელიც ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში მოეწყო გასულ ოქტომბერს, დამაკმაყოფილებელი შედეგები ვერ მოგვცა. ცუდი ხარისხის გამო ატესტაცია ვერ დაიმსახურა ძრავებმა, გადაცემათა კოლოფებმა, ბერძნა სხვა კვანძმა, რადგან ვერ აკმაყოფილებდა სტანდარტებისა და ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნებს. აქ ჯერ კიდევ ოქტომბერში ატესტაციაზე წარადგინეს 408 ათასი მანეთის ნაწარმი, მაგრამ აქედან მხოლოდ 101 ათასი მანეთისა მიიღეს. მდგომარეობა წლის ბოლო თვეშიც კი ვერ გამოსწორდა: დეკემბრის დამდეგს ატესტაციაზე წარადგინეს 543 ათასი მანეთის პროდუქცია, საიდანაც მხოლოდ 118 ათასი მანეთისა მიიღეს! ჰოდა, რაღა გასაკვირია, რომ 1987 წლის 1 იანვრიდან ქარხანას ყოველდღიურად სახმიღებაზე უნდა წარედგინა 15-15 მისაბმელიანი ავტოსატვირთავი, დღემდე კი არც ერთი არ წარუდგენია. იმას, რომ აქ ჯეროვნად ვერ აფასებენ სახელმწიფო მიღების მნიშვნელობას, მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ თვით ახალ წლამდეც კი ხარისხისადმი კონტროლის ორგანო კადრებით არ იყო დაკომპლექტებული, არც სახმიღებთა სამუშაო ადგილები მოუწყვიათ საწარმოო საამქროებში. აქ ნაკლებად არის გავრცელებული მუშაობის ბრიგადული ფორმა, ბევრი არაფერი გაკეთებულა ორ და სამცვლიან მუშაობაზე გადასასვლელად. უფრო მეტიც, ახალ შესადაგებულ-საამწყობო და საადრეგულატო საწარმოებში მუშებისთვის არ გაუცვლიათ სახმიღების დროს მუშაობის პირობები, აგრეთვე სამეურნეო ანგარიშის პრინციპები, რომლებზეც საწარმო მოვალე იყო გადასულიყო 1987 წლიდან. ხალხმა ისიც კი არ იცოდა, რომ მეურნეობრიობის ახალ პირობებში მუშაობის საბოლოო შედეგები, წარმოებული პროდუქციის ხარისხი უშუალოდ განსაზღვრავს მათს ხელფასს. კოლექტივის ზველა წევრს, მუშასაც და დირექტორსაც, უნდა სცოდნოდა, რომ წუნი მათთვის ხელსაყრელი აღარ იქნება; რადგან დიდად შეკვეცავს მატერიალური წახალისების ფონდს. ქუთაისელმა ავტოქარხნელებმა კი, რომლებიც წინა წლებში „ეაზ-6088“ ავტომობილს უშვებდნენ, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ არცხვენდა კოლექტივს, 1 იანვრიდან კიდევ ესოდენ-სამეურნეო დანიშნულების ახალი საწევარიც — „ეაზ-4540“ უნდა გამოუშვან, რომელიც სსრ კავშირის სასუფთავათა პროგრამით არის გათვალისწინებული...

არანაკლებ მძიმე მდგომარეობა შეიქმნა თბილისის ჩარხსაშენებელ გაერთიანებაში, სადაც წლების განმავლობაში პრობლემები კი არ წყდებოდა, პირიქით — კიდევ უფრო მრავლდებოდა და რთულდებოდა. სწორედ ამის შედეგი იყო ის ფაქტი, რომ კოლექტივმა პრაქტიკულად ვერ შეძლო დროულად დაენერგა წარმოებაში ხარისხისადმი არასაუწყვნი კონტროლი, რადგან მათი ჩარხები იმდენად ვერ აკმაყოფილებდა სახსტანდარტის მოთხოვნებს, რომ დარჩენილ დროში ხარვეზების აღმოფხვრა უბრალოდ შეუძლებელი გახდა. შეუძლებელი იმიტომ, რომ მორალურად და ფიზიკურად მოძველდა მოწყობილობა, ჯეროვან დონეზე ვერ იყო ტექნიკური დოკუმენტაცია და აღკურვილობა. სირთულეებია კადრების, კვალიფიციური მუშებისა და სპეციალისტების საკითხშიც. დიდი არაფერი გაკეთებულა მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დროული დანერგვისათვის. ახლა, მხოლოდ ახლა, თანაც რესპუბლიკისა და ჩვენი ქვეყნის ზემდგომი ორგანოების ჩარევის წყალობით, მუშავდება კომპლექსური ღონისძიებანი, ირაზმება კოლექტივი, რათა აღმოფხვრან გუშინდელი სიძნელეები...

თბილისის კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობის ქარხანაში დღემდე არ წარუდგენიათ თავიანთი პროდუქცია სახმიღებაზე, ცხინვალის „ელექტროვიბრომანქანამ“ კი 12 სახეობის პროდუქციიდან სახმიღებას მხოლოდ სამი წარუდგინა, და ისიც უკან დაუბრუნეს ხელახლა დასამუშავებლად.

აღნიშნულ საწარმოებში, მართალია, დიდი დაგვიანებით, რაც მრავალი თვალსაზრისით ობიექტური მიზეზებით იყო გამოწვეული, უკვე შემუშავებულია და აქტიურად ხორციელდება მეურნეობრიობის ახალ პირობებზე გადასასვლელად ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების გეგმები, წარმოებს მუშაობა სახმიღების სამსახურების ფუნქციონირებისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად, ორგანიზებულია კადრების სწავლება. მთავრდება საამუშაო დოკუმენტაციის კორექტირება და სახსტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად მისი გადაკეთება, მიმდინარეობს სამუშაო ადგილების ატესტაცია.

სახმიღება მკაცრი, არაორდინალური ღონისძიებაა. მისი მთავარი ფუნქციაა გადაიქცეს ხარისხისათვის ბრძოლის ქმედით ბერკეტად და დაიცვას მომხმარებლის ინტერესები. სახმიღებაში მუშავავენი არა მარტო კონტროლს გაუწევენ სტანდარტებისა და ტექნიკური ნორმატივების დაცვას — ამით არ ამოწურება მათი მოვალეობანი; მათი როლი ის არის, რომ პრინციპულნი იყვნენ ყოველთვის და ყველაფერში, დაეხმარონ საწარმოებს ხარვეზების მიზეზების ძიებაში, შეცვალონ მოძველებული სტანდარტები, აღმოფხვრან „ვიწრო“ ადგილები, ბოლო მოუღონ უპასუხისმგებლობას, ხელი შეუწყონ მოწყობილობის განახლებას, დისციპლინა და წესრიგი დამყარონ შრომითს კოლექტივებში, რომლებიც სახმიღებაზე გადადიან, აიძულონ თითოეული მუშაკი დღენიადაგ იმაღლებდეს თავის კვალიფიკაციას და მუშაობდეს არა ისე, როგორც მოესურვება, არამედ ისე, როგორც საჭიროა. სამოლოოდ ანგარიშით, მათი მოვალეობაა შრომელთა კოლექტივებთან ერთად გააანალიზონ პროდუქციის ხარისხის მდგომარეობა და დაეხმარონ მხოლოდ საუკეთესო ნაწარმის გამოშვების უზრუნველყოფის ქმედითი სისტემის შემუშავებაში. **საქმის საერთო მდგომარეობაზე მათი გავლენა იმით უნდა გამოიხატოს, რომ უკეთ აამუშაონ ყველა საწარმოს მშრომელები.** და უნდა ითქვას, რომ ასეთ კეთილსაყოფიერ გავლენას სახმიღება ყველა შრომითს კოლექტივზე ახდენს: ფაროთოდება ისეთ საწარმოთა წრე, მათ შორის ჩვენს რესპუბლიკაშიც, რომლებსაც თავიანთ უშუალო მოვალეობად მიაჩნიათ საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვება. ასეთი მიდგომა თავის შედეგებსაც იძლევა.

ამ პოზიტიური ტენდენციის განვითარებასა და გაღრმავებას, მისთვის შეუქცევადი ხასიათის მინიჭებას ემსახურება აგრეთვე ისეთი ურთიერთგანპირობებული ღონისძიებანი, როგორიცაა 1987 წლიდან მთელი დარგების გადასვლა ყოვლისმომცველ სრულ სამეურნეო ანგარიშზე, თვითმართველობასა და თვითდაფინანსებაზე, განაწილებითი ურთიერთობის უფრო სრულყოფილ სისტემაზე, რის მეოხებითაც **ამ სფეროშიც დამკვიდრდება ერთ მთლიანად გაერთიანებული პიროვნების, კოლექტივისა და სახელმწიფოს ინტერესები და სოციალურად სამართლიანი პრინციპი: ყოველი კაცი იმდენს მიიღებს, რამდენიც თავისი შრომით გამოიმუშავა.** ეს ნაბიჯი იმის წინამძღვარი გახდება, რომ აღარ იყოს არარენტაბელური, ზარალიანი საწარმოები, რომლებიც ჩვენს ქვეყანას საგრძნობ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ზნეობრივ ზარალს აყენებენ, და იმის სტიმული გახდება, რომ დღეიადაგ გრძელდებოდეს მეცნიერულ-ტექნიკური ძიება, ახლდებოდეს წარმოება, გამოდიოდეს კარგი ხარისხის პროდუქცია, რადგან ყოველი შრომითი კოლექტივი, ყოველი მისი წარმომადგენელი უშუალოდ იგრძნობს და გაიგებს: **იმისათვის, რომ უკეთ ვიცხოვროთ, უკეთ უნდა ვიმუშაოთ, აყირავთიანად მოვეკიდოთ საზოგადოებრივ დოვლათს — სამუშაო დროს, მატერიალურ რესურსებს, ყოველივე იმას, რასაც ჩვენ ვაწარმოებთ.**

ხარისხის საკითხში პარტია მსოფლიო მიღწევების კურსს დაადგა. ამ ამოცანის გადაწყვეტას ხელი უნდა შეუწყოს სახმიღებამ, რომელიც არსებითად გადაულახავ დაბრკოლებად უნდა აღიმართოს წუნის წინააღმეგ, და, ბოლოს და ბოლოს, ხარისხის გაუჯობესების გზაზე დააყენოს ყველა კოლექტივი და არა მარტო ისინი, სადაც ეს სახმიღებამ დაწესდება. ბეგრმა ფაქტორმა, სამეურნეო მექანიზმის ცვლილებებმა, სამეურნეო ანგარიშის პრინციპმა და სხვა სიახლეებმა თავისი როლი უნდა შეასრულოს ამ საქმეში, მაგრამ, მთავარი ძალა მაინც ჩვენი სინდისი და ღირსების გრძნობაა. **სწორედ დიდი მოქალაქეობრივი, პატრიოტული და ზნეობრივი შეგნებაა პიროვნული მორალურ-ფსიქოლოგიური და ნებელობითი დებულების წანამძღვარი — ვიმუშაოთ ისე, რომ ჩვენი მარჯვენის ნახელავის, ჩვენი მუშაობის საბოლოო შედეგისა არა გვრცხვენოდეს, რომ ყოველი ჩვენგანი ამაყობდეს ამით, რაც ხალხისთვის, ჩვენი სახელმწიფოსთვის გაკეთა. ყველაფერი, რასაც ვაწარმოებთ, სრულყოფილი, იხეთი უნდა იყოს, რომ ყოველ მყიდველს, საქონელს რომ შეიძინს, უფლება ჰქონდეს აღტაცებულმა თქვას: „აი, ეს ოსტატის ნახელავია, ჩინებულია!“.**

თ. ჯაფარი,
პროფესორი.

ნუ შევანელებთ მომკითხველობას

ეროვნულ-ნახევარზე მეტი დრო გავიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შემდეგ. რა ძვრები მოხდა ჩვენთან ამ ხნის მანძილზე? შედარებით დაიხვეწა პარტიულ-ორგანიზატორული მუშაობის სტილი, ფორმები და მეთოდები პლენუმის მიერ დასახული ამოცანების შესაბამისად. ჩვენი მთავარი მიმართულებაა ორგანიზატორული საქმიანობის გაძლიერება, შრომითს კოლექტივებთან, მასებთან კავშირის განმტკიცება.

გარდაქმნასთან დაკავშირებული ამოცანების განხორციელება ადვილი არ იყო და მის მისაღწევად უწინარეს ყოვლისა, უარი ვთქვით უამრავი საკითხების განხილვა-გამეორებაზე, არარეალური დადგენილებების მიღებასა და გაუთავებელ თათბირ-სხდომების გამართვაზე. მაგალითად, თუ 1985 წლის ივნის-სექტემბერში საქალაქო კომიტეტის ბიუროს სამოცამდე საკვანძო საკითხი განიხილა, 1986 წლის ივნის-სექტემბერში მათი რიცხვი 28-ს არ აღემატებოდა. მინიმუმამდე შემცირდა სხდომებისა და თათბირების და იმ კომუნისტთა რაოდენობაც, რომლებსაც მონაწილეობის მისაღებად ვიძახებდით. ყველა ღონისძიება, ჩვეულებრივ, არასამუშაო დროს ეწყობა.

მუშაობის სიმძიმე ძირითადად არჩევის აქტივსა და საქალაქო კომიტეტის აპარატზე გადავიტანეთ. თუ 1985 წლის 1 ივლისამდე პარტიის საქალაქო კომიტეტთან შექმნილი იყო 31 სხვადასხვა მუდმივმოქმედი საბჭო, კომისია და სამუშაო ჯგუფი, მათი რიცხვი დღეისათვის 5-მდე შემცირდა, თუმცა ამით ყველაფერი როდი მოწესრიგდა. მაგრამ ერთი რამ კი აშკარად შეიმჩნევა: პარტიული მუშაკები და აქტივისტები, სამეურნეო ხელმძღვანელები და სპეციალისტები გაცილებით ნაკლებ დროსა და ენერგიას ხარჯავენ პროექტების, მოხსენებების, სხვადასხვა ცნობების შედგენაზე, სხდომებისა და თათბირების ჩატარებაზე და მთელ თავიანთ ძალისხმევას ახმარენ კადრებთან მუშაობას, პირველად და საამქრო პარტიულ ორგანიზაციებში, პარტიულ ჯგუფებში ყოფნას.

ამაში, რასაკვირველია, ხელი შეგიწყო იმანაც, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა თავის მხრივ, მკვეთრად შეამცირეს შესასწავლი და განსახილველი საკითხები, სხვადასხვა სამუშაო ჯგუფების, კომისიებისა და საბჭოების რიცხვი.

მკვეთრად შემცირდა აგრეთვე საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკების მივლინებები საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. სამაგიეროდ ჩვენთან უფრო ხშირად არიან სკკპ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სალოქო კომიტეტის წარმომადგენლები, რომლებიც ცნობებსა და ქაღალდებს კი არ მოითხოვენ, როგორც ეს ადრე ხდებოდა, არამედ ადგილებზე ეცნობიან პარტიული ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების, მუშების, სპეციალისტების, ინტელიგენციის წარმომადგენლთა მუშაობასა და ცხოვრებას,

ყოველივე ამან, აგრეთვე საქმისადმი თვითკრიტიკულმა მიდგომამ, საქალაქო კომიტეტს, პირველად პარტიულ ორგანიზაციებს შესაძლებლობა მისცა გაზარდონ მომთხოვნელობა, განამტკიცონ დისციპლინა. პარტიულ კრებებზე, შრომითს კოლექტივებთან შეხვედრებზე მშრომელები უფრო მეტად გამოდიან და აკრიტიკებენ არა მარტო ნაკლოვანებებს, არამედ თანამოსაქმეებსა და საკუთარ თავსაც. ეს განსაკუთრებით ვიგრძენით, როდესაც სანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებებზე ვმსჯელობდით უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების თაობაზე. ვცდილობთ, საქალაქო კომიტეტის პლენუმებზე, პარტიული აქტივის კრებებზე კრიტიკამ და თვითკრიტიკამ მთავარი ადგილი დაიკავოს, ვინაიდან კრიტიკული გამოსვლების შემდეგ უკეთ წყდება ეკონომიკური და სოციალური საკითხები, უფრო მკაცრად მოეთხოვებათ იმ პირებს, რომლებიც არღვევენ სკკპ წესდების მოთხოვნებს და საბჭოთა კანონებს.

ჩვენი ქალაქის, ისევე როგორც რესპუბლიკის სხვა რეგიონების, პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასურსათო პროგრამის რეალიზაციისათვის გამიზნულ მუშაობას. პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ გააანალიზა ამ მხრივ გაწეული მუშაობა და იგი სრულიად არადამაკმაყოფილებლად ცნო და პრაქტიკული ღონისძიებები დასახა შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ქალაქის მრეწველობაში, ტრანსპორტზე, მშენებლობაზე, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების სფეროებში, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების დარგში გამოაშკარავდა სერიოზული დარღვევებისა და დანაშაულის მრავალი ფაქტი.

საბჭოთა ხალხის ნება

ეკონომიკური ბერკეტების მომარჯვებით გაზარდეს შრომის ნაყოფიერება

მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წელი ვანელი მხვნელ-მთესველებისათვის ბარაქიანი იყო. მათ სახელმწიფოს მიჰყიდეს საგეგმოზე მეტი ხილი, ჩაის ფოთოლი, აბრეშუმის პარკი, რძე და მარცვლეულ-ბოსტნეული. ამ წარმატებას მეტ მნიშვნელობას ანიჭებს ის გარემოება, რომ საზოგადოებრივმა მეურნეობებმა ეკონომიკური ბერკეტების მომარჯვებით გაზარდეს შრომის ნაყოფიერება და შეამცირეს პროდუქციის თვითღირებულება. თითოეული ცენტნერი რძის წარმოება 4 მანეთით გაიაფდა, მნიშვნელოვნად შემცირდა ბოსტნეულისა და მარცვლეულის თვითღირებულება. რაიონში მეურნეობრიობის ეფექტიანობის ერთ-ერთი საფუძველია კოლექტიური ოჯახის დანერგვა.

ამ მეთოდით საზოგადოებრივ მეურნეობებში ამჟამად 5 ბრიგადა, 212 რგოლი და ოჯახი მუშაობს. მათგან ეფექტიანი შრომით გამოირჩევა ვანის სამეურნეოთაშორისო მეცხოველეობის საწარმოო გაერთიანების საიჯარო რგოლი, რომელშიც გაერთიანებული არიან ვ. მილორავა (ხელმძღვანელი), ა. გოგოძე და გ. ბაღდავაძე.

მათ მუყაითად იშრომეს და სახელშეკრულებო ვალდებულება პირნათლად შეასრულეს, რისთვისაც შრომის ანაზღაურების სახით მიიღეს 2.362 მანეთი, პრემიის სახით — 1125 მანეთი, მატერიალური სამუალებების დაზოგვისათვის — 2.815 მანეთი, საიდანაც რგოლის თ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

▼▼

თბილისის ავტოტექმომსახურების საწარმოო გაერთიანება კერძო ტრანსპორტის მფლობელებს სთავაზობს მსუბუქი მანქანების გაკვეთილებისა და დეტალების ადგენას. მათი გაახლება მოხდება დედაქალაქის ვარკეთილი-3 საცხოვრებელი მასივის № 4 ახალ ტექნიკური მომსახურების საგაურში.

ეს საქართველოში პირველი საწარმოა, სადაც, ტრადიციული მომსახურების მთელი კომპლექსის გარდა, საქარხნო წესით აღადგენენ „ჟიგულის“ და „ვოლგის“ მრავალ აგრეგატს.

№ 4 ტექნიკური მომსახურების საგაურის სათადარიგო ნაწილების ადგენის საწარმოო უბანი უახლესი მოწყობილობით არის აღჭურვილი. აქ დადგმულია ჩარხები ძრავების, მუხლა და მანაწილებელი ღერძების, მანქანების სხვა მნიშვნელოვანი კვანძებისა და აგრეგატების, სულ ოცდაათი დასახელების დეტალის შეკეთებისათვის.

ჯერჯერობით ახალი უბნის მომსახურებით სარგებლობა მხოლოდ თბილისელ ავტომოყვარეულებს შეუძლიათ. წლის ბოლომდე მოგვარდება შეკვეთების მიღება რესპუბლიკის სხვა რეგიონებიდანაც.

▼▼

ახალი წელი და საკავშირო სტუდენტურ კონკურსში გამარჯვება მიეღოთ ვეს თანაკურსელებმა ეკა არახამიას. ციბლომი მიენიჭა თბილისის იღია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ენინური სტიპენდიატის სამეცნიერო ხელმძღვანელს პროფესორ კ. შეიხასაც. საზოგადოებრივი მეცნიერებების, კომკავშირისა და საერთაშორისო ახალგაზრდული მოძრაობის ისტორიის დათვალიერებაში ამ უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენელი ზედიზედ მესამედ იმარჯვებს.

№ 9 საკავშირო კონკურსის დაურეატები გახდნენ აგრეთვე საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები და მასწავლებლები თამაზ გელაშვილი, მზია კუბლაშვილი, ედიმტრი ფხაკაძე და მათი კოლეგები თბილისის ა. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტიდან — ცირა ბარბაქაძე და ნონა მაისურაძე. გამარჯვებულებს ლიპლომები გადასცეს საქართველოს აკკ ცენტრალურ კომიტეტში.

▼▼

იმ დღეს ბათუმის სახელმწიფო ვირკის მანეჟი მრავალრიცხოვან ვოკალურ და ქორეოგრაფიულ ანსამბლებს, მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებს დაეთმო. მათ დიდი საახალწლო კონცერტი გამართეს სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა პატივსაცემად.

ამ ნამდვილად სახალხო ზეიმის გმირები იყვნენ აჭარის წარჩინებული მშრომელები — ხარატი ვლადიმერ დოლიძე, მეჩაიეები უდაპეტ დუმბაძე და გუნარა გოგიტიძე, მეცხოველე ჟუჟუნა კოჩლაძე, მეთამბაქოეები სემინეთ ღარჩიძე და ნარგიზა ღოლობერიძე, პედაგოგები დაღი ჭეიდე, ჟუჟუნა ბერიძე, ფატი მანელაშვილი, ოთარ მაკარიძე და სხვები.

ზეიმის კულმინაცია გახდა ქორწილი. ღღესასწაულის მონაწილეებმა შუახეკილ ახალგაქორწინებულებს თამარ და ვახტანგ ჩაგაღიძეებს საჩუქრად აკვანი მიართვეს.

ამიერიდან შრომის ღღესასწაული ბათუმში ტრადიციად იქცევა.

ზეიმში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აჭარის საოქმო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ემირიძე.

▼▼

გამოვიდა სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს და რეკლამის საუწყებათაშორისო საბჭოს სამეცნიერო-პრაქტიკული იეუსტრირებული ჟურნალის „რეკლამის“ მორიგი ნომერი.

ჟურნალში რესპუბლიკის სახალხო მხატვრის ნოდარ მაღაშონიას შემოქმედების შესახებ დაბეჭდილია ვრცელი მასალა, რომლის ავტორია დ. ტოლეტი. იგი მკითხველებს მოუთხრობს, თუ რა განსაკუთრებული აგვიღი უკავია ქართველი მხატვრის — ენობილი ფერმწერისა და გრაფიკოსის შემოქმედებაში პლაკატს, რა ხერხებით კდიღობს ნ. მაღაშონია ამა თუ იმ პლაკატრეკლამას ორიგინალური გამომსახველობა მიანიჭოს.

ჟურნალი ბეჭდავს აგრეთვე ქართველი მხატვრის პლაკატებს.

ᲓᲔᲓᲐᲥᲔᲜᲘᲡ ᲛᲔᲡᲕᲔᲣᲠᲘ

ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ მიერ წამოწყებული ბრძოლა სალიტერატურო ენის ხალხურობისათვის, რა თქმა უნდა, მარტო ორთოგრაფიის საკითხებით არ შემოფარგლულა. ამ ბრძოლას, რაშიაც მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა რამდენიმე თაობა ღებულობდა მონაწილეობას, დიდ სასიკეთო ცვლილებებთან ერთად ფორმათა სიჭრელეც მოჰყვა. სალიტერატურო ენაში თავი მოიყარა სხვადასხვა დიალექტის დამახასიათებელმა ფორმებმა და ლექსიკამ, გაჩნდა სადავო საკითხების მთელი წყება მორფოლოგიის, სინტაქსის, ტერმინოლოგიის სფეროში. დიდი ილია დაუცხრომლად ზრუნავდა ამ საკითხების მოსაგვარებლად და სალიტერატურო ენის ნორმების დასადგენად. ამ ზრუნვის ერთ-ერთი გამოხატულებაა დოკუმენტი, რომელიც გამოქვეყნა აკად. ა. შანიძემ ილიას დაბადების ასი წლის თავზე.

ეს არის ქართული სალიტერატურო ენის სადავო საკითხებზე მოწვეული სხდომის უწყება. სხდომა მოწვეული ყოფილა „ივერიის“ რედაქციაში მარტის 8-ს, შაბათ საღამოს. წელი უწყებაში აღნიშნული არ არის, მაგრამ როგორც ა. შანიძემ დაადგინა, ეს სხდომა უნდა გამართულიყო 1886 წლის 8 მარტს, სულ მალე „ივერიის“ ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთების შემდეგ.

ცხადია, ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთებამ რედაქციის წინაშე უფრო მწვავედ დააყენა სადავო ენობრივი საკითხების მოწესრიგების საჭიროება, რის გამოც, უთუოდ რედაქტორის თაოსნობით მოიწვიეს საქმეში ჩახედული პირები „განსახილველად საგრამატიკო საგანთა იმ აზრით, რომ ერთი საერთო, საყოველთაო კანონი აიხსნას და დაიდგინოს მწერლობაში სახმარებლად“.

მოწვეული პირები წინასწარვე რომ შეეზადებულიყვნენ, უწყებაში ჩამოთვლილია საკითხები, რომელთა შესახებაც იქნებოდა მსჯელობა სხდომაზე. ესენია: მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება ბრუნვაში, ვითარებითი ბრუნვის დაბოლოება, **ჰ** და **ხ** პრეფიქსების ხმარება ზმნაში, სიტყვაწარმოების საკითხები, შემასმენლის შეთანხმება რიცხვში ეგიან და ნ-არიან მრავლობითში დასმულ ქვემდებარესთან, „**რა**“ ნაწილაკის ხმარება და რუსულ დეეპრიჰასტიულ ფორმათა შესატყვისობის ძიება ქართულში.

განსახილველად დასმული საკითხებიდან ზოგიერთზე გადაჭრილი პასუხის გაცემა არამცთუ ბაშინ, დღესაც გაჭირდებოდა. ასეთია, სახელდობრ, ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმების საკითხი, სადაც მრავალი სხვადასხვა ფაქტორი მოქმედებს და ჯერჯერობით საშუალებას არ იძლევა ერთი სავალდებულო ნორმა იქნეს დადგენილი.

ასეთი საკითხების დასმა ილია ჭავჭავაძის მიერ საინტერესოა თვითონ მისი სტილის შესწავლისათვის. კითხვებიდანაც ჩანს, თუ რომელ ფორმებს აძლევდა უპირატესობას მწერალი, მის ნაწერებში ხომ მკვლევარი ამ მხრივ ბევრს საინტერესოს იპოვნის. მაგრამ ამჯერად ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია ისეთი საკითხები, სადაც მორფოლოგიური ფორმანტების სხვადასხვაობა იყო და ამ სპეციფიკური ასოების უმეტესობა პრაქტიკულად უარყოფილია ჯერ კიდევ ილიას მოწაფეობის დროინდელ ნაწერებში, სადაც გვხვდება მხოლოდ **ჲ**, ისიც იშვიათად, სტუდენტობის დროიდან კი **ჲ**-ც საბოლოოდ უკუგდებულია, აქა-იქ გვხვდება მხოლოდ **ᲘᲐ**-ასო, რომელიც ნახმარია „ᲘᲝᲜ“ შორისდებულის გადმოსაცემად.

თავისი უარყოფითი დამოკიდებულება ზედმეტად ქცეული ასოებისადმი ილიამ სულ მალე საჯაროდაც გაამეღავნა და სათანადოდ დასაბუთა კიდეც. თავის პირველსავე კრიტიკულ წერილში „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვის — მიერ „შეშლილის“ თარგმნაზედან“, რომელიც 1860 წელს დაიწერა და მომდევნო წელს „ცისკრის“ აპრილის ნომერში დაიბეჭდა, აკეთრი სკოლოში შენიშნავდა: „უ, **ᲣᲣ**, **Ა**, **Ꭿ**, **ᲔᲐ**, ეს ასოები არ გვიხმარია ჩვენს სტატიაში; თუ, ვინაცობაა, ეს ენის წინააღმდეგ მიიჩნდეს ვისმეს, ჩვენ ყოველთვის მზად ვართ გავსცეთ პასუხი და გამოუცხადოთ, რა მიზეზითაც არა ვხმარობთ“.

მართლაც, პასუხის გაცემა ილიას მალე დასჭირდა, რადგან მის წერილს „ცისკრის“ მომდევნო ნომერშივე მოჰყვა რამდენიმე კრიტიკული წერილი, სადაც ავტორები — „მამათა“ ბანაკის წარმომადგენლები — შეეცადნენ ახალგაზრდა მწერლის შეხედულებათა გაკიმტკივრებას და სასტიკი ᲘᲐ-ᲘᲐ-ᲘᲐ-

ავროპეიცი
ფაქტები • მოვლენები

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

ძახილი

1987 წლის იანვრის პირველ ორ დღეში რესპუბლიკის გზებზე საავტომობილო ავარიების შედეგად დაიღუპა 13 კაცი. ავარიების მიზეზი ძირითადად სიმთვრალე იყო.

კალამი აღარ მემორჩილება
(აღარც დაუქეტ ჯვარედინ რითმებს)...
გული არ მითმენს —
უნდა ვიყვირო,
უნდა იყვიროს ამ ლექსმაც, ვით მე.
ლეთონის მსხვრევის ხმები მომესმის,
მთინგავს ლაწუნი დალეწილ ძვლების,
მზარავს სიკვდილი იმ კაცს, რომელსაც
ცეცხლში მივლია სიკვდილის გზებით.
ვიცოდით, ომში რისთვის ვკვდებოდით,
დღეს რაღა ხდება?!
რისთვის და ვისთვის?!
ასე ბრმად რატომ იღვრება სისხლი?!
თქმაც მიჭირს, —
ნუთუ მარტოდენ სმისთვის?!
ცივი ასფალტი ცხელ სისხლს იყონავს,
ბოლო ჩასუნთქვის ხმა მეყურება...
ომში სიკვდილით ჩვენ ვუმტკიცებდით
მამულს შვილობას და ერთგულებას.
ეს სიკვდილი კი,
ასე სიკვდილი
ღალატია და დანაშაული —
ჩვენ თავს ვიკლავთ და...
აღარც სხვას ვინდობთ!
გულისგულს ბასრი დანა ჩაუვლია...
ის არ გვეყოფა —
სიცოცხლის ხვეზ
ნაყოფს თავისით რომ კრეფს სიკვდილი?
და ასე მკაცრად და გულმოდგინედ
ბრუნავს დოლაბი დროის წისქვილის.
მწვანე ჯეჯილი კაჟმოირულმა
კევრმა რატომღა უნდა გალეწოს...
ქუჩებს, მოედნებს, შუკებს, გზაშარებს
სიკვდილს რათ ვუთმობთ ხაასპარეზოდ...
მიწა! მიწაა,
მიწაა ყველგან,
ზოგან ღარიბი, ზოგან მდიდარი,
უპირველესად თვითონ ჩვენა ვართ
სამშობლო
და სხვა არავითარი.

და მის ძარღვებში ასე საჭირო
სისხლის წვეთია ყველა ჩვენგანი,
ჩვენი სიცოცხლით, ჩვენი სისავსით
მაღლდება მისი ცა და ბჭეკარი.
მშვიდობისთვისაც ხომ მისთვის ვიბრძვით
ასე მტკიცედ და გულმხურვალეთით,
რომ არ დაობლდნენ ჩვენი შვილები,
რომ არ დაქვრივდნენ ჩვენი ქალები,
რომ არ ჩაიცვან დედებმა შავი,
რომ არ ჩამწარდეთ მამებს სიბერე...
რა უნდა ვუთხრათ ერს და მომავალს,
თუ ბრმა სიკვდილით გადავიბელეთ?!.
...საღსალამთნი გავიდნენ გარეთ,
ჭერქვეშ დამსხვრეულ ცხედრებად
შეაქვთ...
ცამეტი კუბო ორ დღეში!
ვაქშე,
წელიწადს სამას სამოცი დღე აქვს!
დავფიქრდეთ ნუთუთ!
ნუთით კი არა,
მუდამ გვახსოვდეს კაცური ვალი,
არ დავაობლოთ ცოლი და შვილი,
არ ვამეჩხეროთ ჯიში და გვარი!
შევწერდეთ!
კმარა!
გვახსოვდეს მარად
კაცის სიცოცხლის მადლი და ძალა,
ეშმაკის ჭიქა საღი გონების
სვეტს შევალეწოთ!
გვეყოფა!
კმარა!
ჩვენი ღვთაება — ვაზიც საწყევრად
არ გავიმეტოთ!
შევწერდეთ!
კმარა!
რა უნდა ვუთხრათ ერს და მომავალს,
თუ ბრმა სიკვდილით გადავიბელეთ?
არ დავაობლოთ კერები ჩვენი,
არ ჩავუშსამოთ დედებს სიბერე!

ადამიანი, მგზავრობა, ტრანსპორტი

რას იწვევს უკონტროლობა

ტრანსპორტზე დისციპლინის განმტკიცების რესპუბლიკური სამუშაო ჯგუფის სხდომაზე

„...თავკაცად ყოფნა“ ასპინძის რაიონის სოფელ საყუდამლის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ნ. წიკლაურს უსაზღვრო უფლებები ეგონა. კოლმეურნეობის მიკროავტობუსი, მაგალითად, მან ფაქტობრივად პერსონალურ ავტომობილად გაიხადა. სწორედ ამ ავტობუსით დაეჯახა იგი, როცა ნასვამი იყო, რაიონულ ცენტრში ქვეითად მოსიარულეს.

წიკლაური არცკი დაეხმარა დაშავებულს და მიიმალა. მანქანას შურდულივით მიაქროლებდა, შედეგი კი ტრაგიკული აღმოჩნდა: მიკროავტობუსი, რომელსაც ნასვამი მძღოლი მართავდა, გადატრიალდა და წიკლაური... ადგილზე გარდაიცვალა.

... ბეთონის რაიონის სოფელ დიღმის მახლობლად ღრმა ხევში გადავარდა თვითსაცლელი. კაბინაში მჯდომი მგზავრი დაიღუპა, ხოლო ვ. ჯანიაშვილი, რესპუბლიკური სპეციალიზებული სამმართველოს „ავტოტექმომსახურების“ მოძრავი მექანიზებული კოლონის მძღოლი, დაშავებული საავადმყოფოში მიიყვანეს. ასე დამთავრდა ეს „მარცხენა“ რეისი.

თითქოსდა ორი სხვადასხვა შემთხვევაა, მაგრამ საერთო მიზეზები აერთიანებს. ეს თქვეს ტრანსპორტზე დისციპლინის განმტკიცების რესპუბლიკური სამუშაო ჯგუფის მორიგი სხდომის მონაწილეებმა.

მაგალითად, ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობისა და „ავტოტექმომსახურების“ მოძრავი მექანიზებული კოლონის ავტომეურნეობებში ავტომობილების მოვლა-ექსპლოატაციის პირობების განხილვამ ცხადყო, რომ აქ უაღრესად ცუდად არის ორგანიზებული ავტომზრდელობითი მუშაობა. გარდა ამისა, აქ არ გეგმავენ და არ ეწევიან მანქანების ტექნიკურ მომსახურებას, ავტომობილების ფაქტობრივი გარბენები რამდენჯერმე აღემატება საზღვრებში აღნიშნულს, რის შედეგადაც იქმნება პირობები ავტომობილების საკუთარი სურვილით გამოყენებისათვის.

სამუშაო ჯგუფის სხდომაზე საქართველოს სსრ სახაგრომრეწვს დაავალეს განეზორციელებინა კარდინალური ღონისძიებები დაქვემდებარებულ ავტომეურნეობებში საქმის ვითარების გასაუმჯობესებლად. სპეციალიზებული სამმართველოს „ავტოტექმომსახურების“ ხელმძღვანელობას დაევალა განახორციელოს დამატებითი ღონისძიებანი ყველა საქვეუწყებო ავტომეურნეობაში წესრიგის დასაყარებლად.

ცნობად არის მიღებული, რომ საგაზაოსატრანსპორტო შემთხვევებს იძიებენ ასპინძისა და მცხეთის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილებები.

(საქინფორმი).

მხარს უჭერენ ეროვნულ შერიგებას

ქაბული. ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს საგანგებო სესიაზე მიღებულ დეკლარაციას „ავღანეთში ეროვნული შერიგების შესახებ“ ფართოდ უჭერენ მხარს ქვეყანაში. ამას მოწმობს ავღანეთის პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული რელიგიური წრეების წარმომადგენლების, მეწარმეების, გლეხების, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული სამამული ფრონტის აქტივისტების გამოხმაურებები.

სახალხო ხელისუფლების ახალი ნაბიჯი, განაცხადა ულემთა ერთ-ერთი სამაზრო საბჭოს წარმომადგენელმა მოულავი ჰაჯი საიდ ალიამმა, შეესაბამება ხალხის მასების ინტერესებს, მთლიანად შეესატყვისება ისლამის კანონებს, ვინაიდან იგი მიზნად ისახავს მრავალი მოტყუებული თანამემამულის ხსნას უცნაურში უუფლებობისა და ხეტიალისაგან, აძლევს მათ შესაძლებლობას დაუბრუნდნენ თავიანთ ოჯახებს, მშვიდობიან შრომას სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ომის შეწყვეტა და მტკიცე მშვიდობა — აი რა არის საჭირო ახლა, რომ განვითარდეს ეროვნული ეკონომიკა, რომ ახალგაზრდა თაობამ მიიღოს განათლება, განაცხადა ვაჟარმა აბდულ აზიზუდინმა, როგორც მან აღნიშნა, ეროვნული შერიგება გზას უხსნის მშვიდობიან აღმშენებლობას, შესაძლებელს ხდის, რომ სახსრები, რომლებიც ახლა საბრძოლო მოქმედებას ხმარდება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას მოხმარდეს.

მთელ ქვეყანაში მოეწყო ეროვნული სამამული ფრონტის ადგილობრივი საბჭოების სხდომები.

მეცნიერთა ახალი ორგანიზაცია

ბანგალორი. (კარნატაკის შტატი). **„მშვიდობისა და განვითარებისათვის მებრძოლი მეცნიერები“ — ასე ეწოდება მეცნიერების მოლვაწეთა ახალ ორგანიზაციას, რომლის დამფუძნებელი სხდომა გაიმართა აქ მომდინარე ინდოეთის სამეცნიერო კონგრესის 74-ე ყოველწლიურ სესიაზე.**

ორგანიზაციის მთავარი ამოცანებია, ამბობს ორგანიზაციის თავმჯდომარე, ბანგალორის სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი ჩ. ნ. რ. რაო, — საზოგადოებრიობას გააცნოს სამხედრო მიზნით სამეცნიერო პროგრესის მიღწევების გამოყენების საშინელი შედეგები.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, თქვა ინდოეთის კოსმოსური კვლევის კომისიის წევრმა სატიშ დპავანმა, უხეშად დაარღვია სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულება, იგი აჩქარებს „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამის განხორციელებას. საერთაშორისო გაერთიანების ჰორტესტების მიუხედავად, გაშინგტონი განაგრძობს ბირთვულ გამოცდებს. ასეთ პირობებში კიდევ უფრო არსებითს მნიშვნელობას იძენს საბჭოთა კავშირის ყოვლისმომცველი წინადადებების განხორციელება, რომელთა მიზანია მასობრივი მოსპობის იარაღის ლიკვიდაცია.

მშვიდობის ნამდვილი მანიფესტი

გამოსმაურებანი 1986 წლის 15 იანვრის განცხადებაზე

გახდა რა მშვიდობის ნამდვილი მანიფესტი, მომდინარე საუკუნის დამლევამდე ბირთვული იარაღის სრული ლიკვიდაციის საბჭოური პროგრამა, რომელიც ჩამოყალიბებულია მ. ს. გორბაჩოვის 1986 წლის 15 იანვრის განცხადებაში, სულ უფრო ფართო გაგებასა და მხარდაჭერას პოულობს, ემსახურება საერთაშორისო ომისსაწინააღმდეგო მოძრაობის მონაწილეთა შემდგომ შეკავშირებას. მსოფლიო პრესა, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი ხაზს უსვამენ, რომ მისი დებულებებისა და პრინციპების განხორციელება უზრუნველყოფს კაცობრიობის გადარჩენისათვის საჭირო უბირთვო მსოფლიოს შექმნას.

პოლონეთი

ვარშავა. მომდინარე საუკუნის დამლევისათვის ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის პროგრამაში ჩამოყალიბებულ საბჭოთა კავშირის სამშვიდობო ინიციატივებს დიდი შეფასება მისცა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. შტოფმა, გაზეთ — „რეიხსპოლიტასათვის“ მიცემულ ინტერვიუში მან აღნიშნა, რომ ეს პროგრამა იხსნის კაცობრიობას თერმობირთვული ომის საფრთხისაგან. მან გააკრიტიკა რეიკიავიკის შეხვედრაზე ამერიკის მხარის არაკონსტრუქციული პოზიცია, რომლის გამოც ხელიდან გაუშვეს ისტორიულ მორიგებათა მიღწევის შესაძლებლობა.

ბულგარეთი

სოფია. მ. ს. გორბაჩოვის 1986 წლის 15 იანვრის განცხადება გახდა დედამიწის ყველა პატიოსანი ადამიანის დროშა, განაცხადა ბულგარეთის კულტურის თვალსაჩინო მოღვაწემ, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ვასილ არნაუდოვმა.

ეს დოკუმენტი, რომელიც მომდინარე საუკუნის დამლევამდე ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის პროგრამაა, მარტო მშვიდობისმოყვარული მოწოდება როდია. იგი დასტურდება საბჭოთა კავშირის კონსტრუქციული საგარეო პოლიტიკით, გამალებული შეიარაღების ალაგმვისათვის გამიზნული კონკრეტული ღონისძიებებით, მათ შორის სსრ კავშირის მიერ გამოცხადებული ყველა ბირთვული აფეთქების ცალმხრივი მორატორიუმით. ჩვენ მოწმენი ვართ საბჭოთა კავშირის გაგებული ნაბიჯებისა, რომელიც ყველა დაბრკოლების მიუხედავად კვლავს კაცობრიობის დიდი ხნის ოცნების განხორციელებისაკენ — ომისა და ძალმომრეობისაგან თავისუფალი ცხოვრებისაკენ მიმავალ გზას.

ავსტრია

ვენა. ავსტრიის კომუნისტურ პარტიას მ. ს. გორბაჩოვის 1986 წლის 15 იანვრის განცხადება მიაჩნია კაცობრიობის უბირთვულიარაღო ცხოვრების უზრუნველყოფის კონკრეტულ პროგრამად. ავსტრიელ კომუნისტთა გაზეთი „ფოლქსშტიმე“ განვლილი წლის შედეგებისადმი მიძღვნილ სტატიაში ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა ხელმძღვანელის განცხადება სსრ კავშირის უმნიშვნელოვანესი საგარეო-პოლიტიკური აქციაა. მან პრინციპული როლი შეასრულა მშვიდობისათვის და ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის ბრძოლაში, რომელიც ყველგან ძლიერდება. ამ დოკუმენტში ჩამოყალიბებულია პროგრამა, რომლის განხორციელება იხსნის კაცობრიობის ბირთვული იარაღისაგან 2.000 წლისათვის.

იაპონია

ტოკიო. **საბჭოთა კავშირი სათავეში უდგას დედამიწაზე და კოსმოსში გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, თერმობირთვული საფრთხის თავიდან აცილებისათვის, მშვიდობიანი მომავლისათვის ხალხთა ბრძოლას, წერს პირველ საახალწლო ნომერში გაზეთი „სეინენ ნო კოე“, იაპონიის სოციალისტური ახალგაზრდობის ლიგის ორგანო.**

სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარულ კურსს თვალნათლივ მოწმობს მომდინარე საუკუნის დამლევამდე ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის პროგრამა, აღნიშნულია სტატიაში. კონსტრუქციულ სამშვიდობო წინადადებებს, რომლებმაც ფართო გამოხმაურება გამოიწვიეს ყველა ქვეყანაში, საბჭოთა კავშირი კონკრეტული საქმეებით ადასტურებს.

მეცნიერთა ახალი ორგანიზაცია

ბანგალორი. (კარნატაკის შტატი). **„მშვიდობისა და განვითარებისათვის მებრძოლი მეცნიერები“ — ასე ეწოდება მეცნიერების მოლვაწეთა ახალ ორგანიზაციას, რომლის დამფუძნებელი სხდომა გაიმართა აქ მომდინარე ინდოეთის სამეცნიერო კონგრესის 74-ე ყოველწლიურ სესიაზე.**

ორგანიზაციის მთავარი ამოცანებია, ამბობს ორგანიზაციის თავმჯდომარე, ბანგალორის სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი ჩ. ნ. რ. რაო, — საზოგადოებრიობას გააცნოს სამხედრო მიზნით სამეცნიერო პროგრესის მიღწევების გამოყენების საშინელი შედეგები.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, თქვა ინდოეთის კოსმოსური კვლევის კომისიის წევრმა სატიშ დპავანმა, უხეშად დაარღვია სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულება, იგი აჩქარებს „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამის განხორციელებას. საერთაშორისო გაერთიანების ჰორტესტების მიუხედავად, გაშინგტონი განაგრძობს ბირთვულ გამოცდებს. ასეთ პირობებში კიდევ უფრო არსებითს მნიშვნელობას იძენს საბჭოთა კავშირის ყოვლისმომცველი წინადადებების განხორციელება, რომელთა მიზანია მასობრივი მოსპობის იარაღის ლიკვიდაცია.

რეიგანს გაუკეთეს ოპერაცია

ვაშინგტონი. როგორც თეთრი სახლის პრეს-მდივნის მოადგილემ ლარი სპიქსმა განაცხადა, ორშაბათს პრეზიდენტ რეიგანს გაუკეთეს ოპერაცია გადიდებული წინამდებარე ჯირკვლის გამო. ოპერაციამ, რომელიც ვაშინგტონის გარეუბანში ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალების ჰოსპიტალში მიმდინარეობდა, ერთ საათს გასტანა. სპიქსის თქმით, პრეზიდენტი თეთრ სახლში დაბრუნებას ორი სამი დღის შემდეგ აპირებს.

...

მოსკოვი

7 იანვარი

პირველი პროგრამა. 8.10 — მულტფილმები. 8.20 — მეერის და ცეკვავს ახალგაზრდობა. 8.30 — „ვრემია“. 9.05 — მხატვრული ფილმი „თეირანი-43“. I და II სერია. 11.30 და 17.00 — ახალი ამბები. 17.15 — თვითმოქმედი შემოქმედების მეორე საკავშირო ფესტივალი. 18.20 — დოკუმენტური ფილმი. 18.40 — „კამპუჩია: აღორძინების გზა“. კინონარკვევი. 18.55 — სახმილება: ბრძოლა ხარისხისათვის. 20.05 — მეერის იაროსლავ ევდოკიმოვი. 20.35 — ახალი ამბები. 20.45 — „თეირანი-43“. II სერია. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — სტუმრად ჟურნალ „ოგონიოკთან“. 23.50 — დღეს მსოფლიოში. 0.05 — მსოფლიო და ახალგაზრდობა.

მეორე პროგრამა. 9.15 — დილის ვარჯიში. 9,35; 15.35 და 23.50 — დოკუმენტური ტელეფილმები. 10.00 — ხელმარჯვენი. 10.30 — საუნჯე ორკესტრის კონცერტი. 10.50 — დედის სკოლა. 11.20 — საბჭოთა მწერლების ზღაპრები. 12.05 — გერმანული ენა. 12.35 — საბავშვო მხატვრული ტელეფილმი „ცისარტყელაზე მაღლა“. II სერია. 13.50 — ხალხური მელოდიები. 14.20 — მხატვრული ტელეფილმი „ჩემი ქუჩა“. 16.05 და 18.45 — ახალი ამბები. 19.00 — თქვენ გეპატიჟებათ კატრინ-ჰელენა (ფინეთი). 19.50 — მულტფილმი. 20.15 — საკალათბურთო მიმოხილვა. ამერიკაში საბჭოთა კალათბურთელების ტურნეს შედეგები. 21.00 — ძალი ნებისა, პატარებო! 21.15 — „ბუნების სახელოსნო და ჩვენ“. 21.45 — თუ გინდა ჯანმრთელი იყო. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მხატვრული ტელეფილმი „საგანგებო გარემოებანი“. I სერია. 0.10 — ახალი ამბები.

ეკრანი

7 იანვარი

პირველი პროგრამა. 8.30 — „ვრემია“. 9.10 — მოამბე. 9.45 — დღეს თბილისს კინოთეატრების ეკრანებზე. 9.55 — დოკუმენტური ფილმი „...და ყოველ სალამოს დანიშნულ საათზე“. 11.00 — სატელევიზიო საბავშვო კინოდარბაზი „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „გეორგა“. 12.10 — ჩვენს დიად სამშობლოში. დოკუმენტური ფილმები „მურმანსკი“ და „ძველი ქალაქის ცხოვრება“. 12.50 — მასწავლებლის საათი. ბუნების დაცვა. 13.20 — ქართული დოკუმენტური ფილმი „დარბილოს ხიზანი“. 13.30 — მათემატიკის ტელეკურსი. 14.00 — საინფორმაციო გამოშვება. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — შეივისწავლოთ გერმანული ენა. 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — მოსწავლეთათვის. თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო ქართული თეატრის სპექტაკლი „სალამურა“. 18.30 — „ლიტერატურული ნობათი“. კითხულობენ ზ. ლეგასნიძე და კ. საკანდელიძე. 18.55 — სახელმწიფო მიღება: ბრძოლა ხარისხისათვის. 20.05 — მოამბე. 20.40 — ქართული სატელევიზიო ფილმ-პალეტი „მეთორმეტე ღამე“. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — სტუმრად ჟურნალ „ოგონიოკთ ან“. 23.50 — საინფორმაციო გამოშვება. 0.05 — ახალგაზრდობისათვის. მსოფლიო და ახალგაზრდობა.

მეორე პროგრამა. 16.25 — მხატვრული ფილმი „გოგონა და გრანდი“. 17.45 — განცხადებები. 17.50 — დოკუმენტური ფილმი „...და კვლავ თავიდან“.

ზანგთა „თავისუფლების სოფელი“

აშშ-ს სამხრეთში საარჩევნო უფლებების მხრივ მდგომარეობა ძალიან ჰგავს სამხრეთ აფრიკის აპარტეიდის სისტემას, თქვა ამერიკის შეერთებული შტატების თვალსაჩინო ზანგმა მოღვაწემ მლვდელმა ბენჯამინ ჩეივისმა. ამის მაგალითია ამბები, რომლებიც მოხდა ტენესის შტატის ფეიეტის ოლქში. ეს ოლქი საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის უფლებისათვის ზანგთა ბრძოლის ასპარეზად იქცა.

ჯერ კიდევ 60-იან წლებში ამ ოლქის ზანგმა მოსახლეობამ შეუპოვარი ბრძოლის შედეგად როგორც იქნა ისტორიაში პირველად მოიპოვა კენჭისყრაში მონაწილეობისათვის რეგისტრაციის უფლება, მაგრამ დღესაც კი, როცა პირველმა 1200-მა კაცმა ფეიეტის ოლქში მცხოვრები 9 ათასი ზანგიდან, რეგისტრაცია გაიარა როგორც პოტენციურმა ამომრჩეველმა, ადგილობრივმა რასისტებმა მათ მუქარა და რეპრესიები დაატეხეს თავს. რასისტებს არ სურდათ დაეშვათ, რომ თუნდაც ერთი შავკანიანი არჩევნის თანამდებობაზე ყოფილიყო. 700-მა სოფლის მეურნეობის მუშამ მიიღო უწყება დათხოვნის შესახებ და მოთხოვნა გაცლოდნენ მათი პატრონების მოწაწყალს.

ასეთი სასტიკი უსამართლობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად 80-ზე მეტმა ოჯახმა კარვის ქალაქი ააგო, რომელსაც „თავისუფლების სოფელი“ უწოდეს. „ჩვენ გვჩაგრავდნენ 95 წლის მანძილზე — ამბობს შავკანიანთა თემის ერთ-ერთი მოღვაწე ს. ფრანკლინი. — პატრონები ცდილობენ არ დაგვიშვან კენჭისყრაზე. მაშ რაღა დაგვრჩენია პროტესტის გარდა?“

ამ ოლქში ზანგთა ხმის უფლების საკითხი დღემდე გადაუწყვეტელია. ამჟამად საქმე გადაცემულია სასამართლოში. ჯერჯერობით კი ათობით ადამიანი, მათ შორის ბავშვები და მოხუცები, იძულებულია „თავისუფლების სოფელი“ ცივ კარვებში იცხოვრონ.



სურათებზე: კიდევ ერთი „სახლის“ მშენებლობა; ასეთ პირობებში უხდებათ ცხოვრება სოფლის მეურნეობის მუშათა ოჯახებს.

კამერა პრეს-საკლესიის ფოტო.

საჭიროა პრაქტიკული მოქმედება

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენლობა გენერალური ასამბლეის შედეგების შესახებ

▼▼

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 41-ე სესიამ ცხადყო, რომ საერთაშორისო გაერთიანებას სულ უფრო მეტად ესმის, რომ საჭიროა სახელმწიფოთა გადაუდებელი პრაქტიკული მოქმედება, რათა უზრუნველყონ კაცობრიობის გადარჩენა ბირთვულ-კოსმოსურ ერაში, ნათქვამია სესიის შედეგების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენლობის ორშაბათს გამოქვეყნებულ განცხადებაში. მისი ხასიათი თვისებრივად შეიცვალა რეიკიავიკის შეხვედრის შემდეგ, რომელმაც წარმოაჩინა როგორც უბირთვო მსოფლიოს შექმნის შესაძლებლობა, ისე მის გზაზე აღმართული დაბრკოლებანი. ისლანდიის დედაქალაქში გამართულმა შეხვედრამ, განვითარებადი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების ჰარარეს კონფერენციამ, საბჭოთა კავშირ-ინდოეთის დელის მოლაპარაკებამ მძლავრი სტიმული მისცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ მეტ წილ სახელმწიფოთა იმედებს, რომ საერთაშორისო ურთიერთობაში დამკვიდრდება ახალი პოლიტიკური აზროვნება, რომელიც მიზნად ისახავს პოლიტიკური საშუალებებით უშიშროების პრობლემათა გადაჭრას.

ეს იმედები კონცენტრირებული ფორმით გამოიხატა საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნის შესახებ სოციალისტური სახელმწიფოების, მათ შორის სსრ კავშირის ერთობლივი წინადადების განხილვის დროს, აღნიშნულია განცხადებაში. 100-ზე მეტმა ქვეყანამ დაუჭირა მხარი უშიშროების უზრუნველყოფისადმი ახალი მიდგომის ძიებას.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და მთელი რიგი სხვა დელეგაციების წინააღმდეგობის მიუხედავად, სესიის ყურადღება მიეპყრო მშვიდობის, განიარაღებისა და უშიშროების პრობლემებს.

პენტაგონის საამებლად

ამერიკის შეერთებული შტატების 1987 წლის ბიუჯეტის პროექტი

▼▼

ვაშინგტონი. აქ გამოქვეყნდა ამერიკის შეერთებული შტატების 1988 საფინანსო წლის ფედერალური ბიუჯეტის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის მთელი ისტორიის მანძილზე ხარჯების რეკორდულ საერთო დონეს — 1,24 ტრილიონ დოლარს. მას ხელი მოაწერა პრეზიდენტმა რეიგანმა და განსახილველად და დასამტკიცებლად კონგრესს გაუგზავნეს. პირველი, რაც თვალში ეცემა კაცს ამ დოკუმენტის გაცნობისას, ეს არის ადმინისტრაციის მოთხოვნა კიდევ უფრო გაზარდონ სამხედრო ხარჯები სოციალური საჭიროებებისათვის ასიგნებათა ახალი შემცირების გზით.

გამალებული შეიარაღებისათვის ითხოვენ ბიუჯეტის გასავლის მუხლებით გათვალისწინებული სახსრების უდიდეს წილს — 312 მილიარდ დოლარს. ეს 23 მილიარდი დოლარით აღემატება მიმდინარე საფინანსო წელს სამხედრო ასიგნებათა ოდენობას. ბიუჯეტის პროექტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კონგრესის მიერ უკვე მოწონებული მექს პირველი დარტყმის 50 საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების მშენებლობისა და განლაგების დამთავრებას, რომელთაგან ათი ამას წინათ საბრძოლოდ გამზადეს ამერიკის შეერთებული შტატების ვაიომინგის შტატის სამხედრო საჰაერო ძალების ბაზაში, ალეთეი „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამის განხორციელების დაჩქარებას. ამ უკანასკნელისათვის დაგეგმილია ხარჯები გაიზარდოს ერთბაშად 62 პროცენტით — 5,2 მილიარდ დოლარამდე. საბიუჯეტო გეგმა მოწმობს იმასაც, რომ ადმინისტრაცია აპირებს გაფართოოს ნიკარაგუის წინააღმდეგ გამოუცხადებელი ომი, რისთვისაც კონტრრევოლუციონერთა ბანდების სამხედრო დახმარებისათვის კიდევ 105 მილიონი დოლარის გამოყოფას მოითხოვს კონგრესის მიერ მომდინარე წლისათვის უკვე გამოყოფილი 100 მილიონი დოლარის დამატებით.

ამავე დროს თავის საშინაო პოლიტიკაში ადმინისტრაცია ამზადებს მორიგ შეტევას უბრალო ამერიკელთა საარსებო ინტერესებზე. მაგალითად, ბიუჯეტის პროექტში უქმდება ან კვლავ იკვეცება ისეთი მიზნებისათვის ფედერალური ხარჯების მუხლები, როგორიც არის განათლება, საბინაო მშენებლობა, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, დახმარება ფერმერთა მეურნეობებისადმი, რომლებიც უმწვავეს კრიზისს განიცდიან, და ა. შ. ამის ხარჯზე ვარაუდობენ „დაზოგონ“ დაახლოებით 42 მილიარდი დოლარი.

ფედერალური ბიუჯეტის ახალი პროექტის განხილვის დროს, მრავალი მეთვალყურის აზრით, კონგრესში, სადაც ახლა ორივე პალატაში უმრავლესობა დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებს ეკუთვნით, კანონმდებლებსა და ადმინისტრაციას შორის გაიმართება „გაფფორებული შეტაკება“ არა მარტო საბიუჯეტო ხარჯების კონკრეტული მუხლების, არამედ თეთრი სახლის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთელ რიგ კარდინალურ საკითხთა გამოკ.

გავლონიერდეთ, გავჯანსაღდეთ, გავმაბრდეთ!

მეტი გერგილიანობა გვმართებს

რაც დრო გადის, რესპუბლიკაში ერთგვარად მრავლდება „ჯანმრთელობის“ კლუბები, რომელთა შექმნა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს, საქართველოს სახელმწიფო სპორტკომიტეტისა და გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის ინიციატივით დაიწყო. ამ ორგანიზაციულ სისტემაში ფიზკულტურელები, მათ შორის 30 წელს გადაცილებულნიც გაერთიანებული არიან ინტერესების მიხედვით. მას შემდეგ, რაც რესპუბლიკაში „ჯანმრთელობის“ კლუბების შექმნა დაიწყო, თითქმის 9 თვე გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ორგანიზაციულად გაფორმდა და მუშაობა გაიშალა რესპუბლიკის 76 სხვადასხვა კლუბში. მათგან სპორტსაზოგადოება „ჯანთიადაში“ ამოქმედებულია 27 კლუბი, „კოლმეურნეში“ — 20, „სპარტაკში“ — 6... საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს სპორტსაზოგადოებებისა და მეთოდიკური კაბინეტის მუშაკები ადგილებზე უკვე გარკვეულ პრაქტიკულ დახმარებას უწევენ ინტერესების მიხედვით შექმნილ კლუბებს მუშაობის სათანადოდ ორგანიზების საქმეში. აქამდე შექმნილი კლუბებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“, თბილისის კიროვის სახელობის „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანების, საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“, ქუთაისის ავტოქარხნის და თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კლუბების მუშაობა. ორგანიზაციულად, კარგად არის აწყობილი მუშაობა დასვენების ზონებში — დიღმის ტყე-პარკში გამაჯანსაღებელი რბენისა და სიარულის კლუბსა და თბილისის ზღვაზე ზამთრის გამაჯანსაღებელი ცურვის კლუბში. სულ ახლახანს, 1986 წლის ნოემბრის მიწურულს სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის“ ხაზით კიდევ 7 კლუბი შეიქმნა — ხობის, ზუგდიდის, სამტრედიისა და წითელწყაროს რაიონებში.

თანდათან რომ იზრდება ინტერესების მიხედვით კლუბების რაოდენობა, მისასალმებელი ფაქტია. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ მათი რიცხვი ჯერ კიდევ ძალიან ცოტაა და კონტინგენტიც ერთობ მცირეიცხოვანია. ამის საილუსტრაციოდ ისიც კმარა, თუ ვიტყვით, რომ რესპუბლიკის 22 ქალაქში შექმნილი 76 კლუბის (20 სახეობაში) კონტინგენტი მხოლოდ 2300 კაცს შეადგენს. ცხადია, სპორტული ბაზების ასეთი დატვირთვით შორს ვერ წავალთ. გამოდის, რომ თითოეულ კლუბზე საშუალოდ 30 კაცი მოდის. უთუოდ დამაფიქრებელი ციფრია, ეტყობა, ზოგიერთ ორგანიზაციაში სრულად ვერ იყენებენ ადგილებზე არსებულ პირობებს და, რაც მთავარია, კლუბებში ფართოდ ვერ იზიდავენ მშრომელებს. ცხადია, ასეთი მდგომარეობა იმის გამ